ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

9 — 10 თებერვალი, 2013 | №33 (6034) | ფასი: 30 თეთრი

11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



სისხლისღვრა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან

გვ.2

ჩიორა თაქთაქიშვილს, გიგი უგულავას და თენგიზ გუნავას სცემეს

გვ.3

სააკაშვილი: „მე ვერავინ გამომკეტავს!“

დავით უსუფაშვილი: „პროვოკაცია უგულავამ მოაწყო“

გვ.3

გვ.4

რაში დახარჯა გია თორთლაძემ კულტურის სამინისტროდან მიღებული 350 ათასი ლარი

გვ.2

ნანა დევდარიანი: „ახალი ხელისუფლება პიარში მოიკოჭლებს“

გვ.6

ციხეში დაავადებული პატიმრები მრავლად არიან

გვ.4

„ადამიანების სასაკლაო“

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი



9 771987 938006

ნანა დევდარიანი: „ახალი ხელისუფლება პიარში მოიკოჭლებს“

ნათია ხურცილავა

ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი ახალი ხელისუფლების 100 დღეზე საუბრობს. დევდარიანის განცხადებით. საზოგადოების მხრიდან ნებისმიერ წვრილმანზეც კი უნდა იყოს ადეკვატური რეაქცია.

ინტერვიუ ნანა დევდარიანთან:

– ქალბატონო ნანა, როგორ შეაფასებთ ახალი ხელისუფლების 100 დღეს. ამ ხნის განმავლობაში რა მოგეწონათ, რა არ მოგეწონათ?

– როგორც ყველა მოქალაქის მოლოდინი, ვისაც უკეთესობის მოლოდინი ჰქონდა, ჩემი მოლოდინიც ასეთივეა. ყველაზე მეტად ადამიანები ელოდნენ, რომ პირველ რიგში სამართლიანობა აღდგებოდა და დამნაშავეები დაისჯებოდნენ. მეორე დაპირება იყო სოციალური ფონის გაუმჯობესება. რა თქმა უნდა, ადამიანები უკმაყოფილო არიან იმიტომ, რომ ცხრა წლის განმავლობაში ვისაც დამნაშავეებად და მოძალადეებად მიიჩნევდნენ, იძულებულები არიან ისევ ამ ადამიანებს უსმინონ. თუმცა, არჩევნების შედეგებით 40 პროცენტი აქვთ და არამხოლოდ პარლამენტში, დანარჩენ სახელისუფლო რგოლშიც „ნაციონალების“ საკმაოდ ფართო შემადგენლობაა. ადამიანები იმდენად დაიღალნენ ამ ტერორით, რომ უკვე აღარ უნდათ მათი დანახვა. მეც კი მათ რიცხვში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც ემოციური არ ვარ, გაწონასწორებული ადამიანი გახლავართ, მაგრამ მეც კი მაღიზიანებს ზოგიერთი ოდიოზური პიროვნების ტელეთერებიდან ბრტყელ-ბრტყელი საუბარი. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, მე ვიცი, რომ უცებ არ ხერხდება სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ ადამიანები მაინც ელოდნენ უფრო მეტ აგრესიას ახალი ხელისუფლებისგან ყოფილი ხელისუფლების დანაშაულების მიმართ, მაგრამ ეს არ მოხდა.

– ეს ცუდია თუ კარგი?

– ვერ გეტყვით, რომ ეს ცუდია, რადგან აგრესიას და ანგარიშსწორებას კარგი არაფერი მოაქვს. როდესაც ძალადობას ძალადობით პასუხობ, შენც ისეთივე მოძალადე ხდები. ეს მე მესმის, მაგრამ ემოციურად ადამიანებს ძალიან უჭირთ ამის გაგება. რაც შეეხება სოციალურ ფონს, უკვე თებერვალი დადგა და, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოდან, მარტიდან რაღაც უნდა გაუმჯობესდეს. თუმცა, ტარიფებთან დაკავშირებით ბოდიშის მოხდამ, რომ არასწორად იყო დათვლილი, ხალხში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. თუმცა, ყველაზე დიდი მინუსი, რაც „ოცნებას“ აქვს, ეს არის პიარის არარსებობა.

– როგორ ფიქრობთ, ყველაზე სუსტი რგოლი მაინც რა არის, პიარის არრასებობა?

– ვერ ვიტყვი, რომ ეს არის ყველაზე მთავარი უარყოფითი თვისება, მაგრამ ეს არის მუშაობაში ნაკლოვანება. სააკაშვილი ქვეყანას პიარის საშუალებით მართავდა. გაკეთებული რაც არ ჰქონდა, იმას აპირებდა, რომ საოცრება გააკეთა და რაც ცუდი იყო, ის აბსოლუტურად არ ხვდებოდა ტელეკრანებზე, რასაკვირველია, ბეჭვდურ მედიაში ხვდებოდა. ისეთი პოზიტიური საინფორმაციო გამოშვებები გადიოდა, როგორც საბჭოთა კავშირის დროს საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ იყო. რა თქმა უნდა, ეს არ არის მოსაწონი და ძალიან ცუდია, როდესაც ვირტუალური კეთილდღეობის სურათს ქმნი, მაგრამ როდესაც ახალ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საერთოდ არ სჭირდება პიარი, რადგან უკვე არჩევნებში გაიმარჯვა, ამას მოჰყვება მოსახლეობის არაინფორმირებულობა ან არასრული ინფორმირება. ახალი ხელისუფლება რასაც აკეთებს, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით, უნდა გაპიარდეს. თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანებმა იცოდნენ, მაგალითად, დღეს თუ არ არის დაზღვევის პროგრამა, მარტიდან ამოქმედდება. ერთხელ და ორჯერ გაკეთებული განცხადება არ მუშაობს. ეს ძალიან კარგად იცოდა სააკაშვილმა. ყურებს გამოგიჭედავდა იმით, რაც რეალურად არ ჰქონდა გაკეთებული. ესენი ამას ვერ ახერხებენ. როგორც ვერ ახერხებენ დაასაბუთონ თუ რა ხდება სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

– გახმაურებული საქმეების გახსნას გულისხმობთ?

– დიახ. გახმაურებულ საქმეებს და მათ შორის იმ ფაქტს, როდესაც გამომძიებელი უგულავას კაბინეტში რომ ეახლა. ეს არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება. არც კოჰაბიტაციის და არც მართლმსაჯულების. პიარშეცდომები საკმაოდ უარყოფითად ჰპოვებს ასახვას ხოლმე. არ არის სწორი მიდგომა – რადგან არჩევნებში გავიმარჯვე, ახლა პიარი აღარ მჭირდება. პიარი საჭიროა, რადგან ის იშიფრება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობა. მერაბიშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლები ამბობდნენ, იმიტომ წავაგეთ, რომ ხალხთან არასაკმარისი კომუნიკაცია გვქონდაო. ეს მაგალითი მაინც ხომ უნდა გაითვალისწინონ. ახალ ხელისუფლებას კომუნიკაცია უმაღლეს დონეზე უნდა ჰქონდეს.

– როგორ ფიქრობთ, მინისტრთა კაბინეტი ჩაიკეტა თუ ეს უფრო ქვედა რგოლის პრობლემაა?

– იმისთვის, რომ ინფორმაცია გაავრცელო, ამას მუშაობა უნდა. ჩაკეტილობაზე არ არის საუბარი, საუბარია გეგმაზომიერ მუშაობაზე. ყოველდღიური სამუშაოა, რომ ინფორმაცია გაუშვა. ხანდახან ჟურნალისტს არც გაახსენდება, რომ მივიდეს და მინისტრს გამოჰკითხოს, რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს? თვითონ უნდა გააკეთონ ეს, თვითონ უნდა გაავრცელონ ეს ინფორმაცია. რაც ხშირ შემთხვევაში არ ხდება. რეაქტიულ რეჟიმში მუშაობენ. „ნაციონალები“ რაღაცას დაბრალებენ და მერე გამოდიან და თავს იმართლებენ. არადა, ინიციატივა ახალი ხელისუფლების უნდა იყოს, რომ სრულად მოახდინოს მოქალაქეების ინფორმირებულობა თუ რას აპირებს. ამის მაგივრად ინიციატივას მუდმივად „ნაციონალური მოძრაობა“ იღებს. როდესაც პასუხს სცემ, ეს უკვე თავის მართლების რეჟიმია.

– თქვენ ახსენეთ გახმაურებული საქმეები, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, ბუტა რობაქიძის საქმის გამოძიება, როგორც ვიცით, დღე-დღეზე დასრულდება, თუმცა, ფიქრობთ, რომ სწორედ ამ საქმეების გახსნით უნდა დაიწყო მთავარ პროკურატურას მუშაობა?

– ესეც პიარის საგანია. როდესაც ამდენი გახმაურებული მკვლელობაა ქვეყანაში, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმის გამოძიებით არ უნდა დაიწყო, მით უმეტეს, მისი პატრონი ღარიბი ადამიანი არ არის. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. მე პირადად ილუზია არ მქონდა, რომ ერთ და ორ თვეში ყველა საქმე გაიხსნებოდა, რადგან გამოძიებაში მთელი რიგი დეტალებია, რომლის გარეშეც საქმეს გახსნილად ვერ გამოაცხადებ. რასაკვირველია, სირთულეები ახლავს ამ ყველაფერს, რადგან გარკვეული ვადაა გასული, სადავოა ექსპერტიზის მონაცემები. ამ ყველაფერს შეგროვება, შეჯერება და მტკიცებულებების მოპოვება სჭირდება. თუმცა, ის მაინც შეიძლებოდა, რომ გამოძიება „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმით არ დაწყებულიყო.

– ბოლო დროს ნეპოტიზმის საკითხი აქტუალური გახდა, „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ ნათესავების დასაქმებაში სდებს ბრალს ახალ ხელისუფლებას. ეს განცხადება ყოფილ ხელისუფლებას რომ გაეკეთებინა, ამას შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმაც მისცა ტონი. რას იტყვით?

– მე ვფიქრობ, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა დაუშვა. ამის გამართლება არ შეიძლება. წარმოუდგენელია, რომ დღეს ხელისუფლებაში მოსული გუნდის ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები არიან ყველაფერში კომპეტენტური. ამას არავინ არასდროს არ დაიჯერებს. შეიძლება იმ გახმაურებული მკვლელობების საქმეებზე მეტად, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოსახლეობაში გამოიწვიოს სწორედ ამან და გამოიწვია კიდეც. „ნაციონალებმა“ უამრავი პროფესიონალი გაყარეს სამსახურებიდან, დღეს კლდემამოსილად რომ საუბრობენ პოლიტიკურ დევნაზე. გაყარეს ან პოლიტიკური, ან ასაკობრივი ნიშნით და ეს სამუშაო ადგილები ახალგაზრდებს დაუკავებინეს. არაფერი ახალგაზრდების საწინააღმდეგო არ მაქვს, მაგრამ ადამიანი თუ არასდროს არ ყოფილა ხელქვეითი, ის სამსახურის უფროსად არ უნდა დანიშნო. რაც შეეხება იმის ახსნას, რომ საფრანგეთშიც ასეა და ნაცნობი ურჩევნიათ რომ დანიშნონ, მე რომ ტელევიზიიდან ვიცნობ გამოცდილ კადრს და ვატყობ, რომ კომპეტენტურია, ეს სხვა ნაცნობობაა და პირადი ნაცნობია ან ოჯახის წევრია, ეს სულ სხვაა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული მოვლენა, რასაც თუ არ ასცდა ეს ხელისუფლება, ამას კარგი არაფერი არ მოჰყვება. ადამიანები გაუმჯობესებას სამსახურებში დაბრუნებითაც ელოდნენ, ხელფასით იქნებოდნენ უზრუნველყოფილი. ადამიანები სამსახურებიდან არაპროფესიონალიზმის გამო კი არა, სუბიექტური მოსაზრებით გამოყარეს და თუ ეს არ გამოსწორდა და თავიანთი ახლობლების დასაქმება განაგრძეს, არა მგონია ამან „ოცნებას“ რამე კარგი მოუტანოს.

– ამ ხნის განმავლობაში პოზიტიური რა შეგიძლიათ თქვათ?

– პოზიტიური ის არის, რომ ადამიანები სულ სხვა სახეებით და სულ სხვა გამომეტყველებით დადიან ქუჩაში.

– იმედი გაჩნდა საზოგადოებაში?

– იმედის გარდა, თავისუფლების შეგრძნება გაჩნდა. ადამიანები აპროტესტებენ სრულიად წვრილმან რაღაცას და არა აქვთ შიში, რომ მათ დაარბევენ, რომ მათ გაზით მოწამლავენ. თავისუფლების შეგრძნებას თავისი მნიშვნელობით არაფერი არ შეედრება.

– ამ მონაპოვარს შეიძლება საფრთხე შეექმნას თუ საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზე არ დადგა? თუ ფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლება არ გაბედავს...

– არა, არა, თავისუფლება არ არის ერთჯერადად მოსაპოვებელი რამ. თავისუფლებისთვის ყოველდღე უნდა იბრძოლო. ეს ხელისუფლება კი არა, ყველაზე იდეალური ხელისუფლებაც კი, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებშიც, ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მიიტაცოს. ეს ყველა ხელისუფალისთვის დამახასიათებელია. ამიტომ ჩვენი საზოგადოება მზად უნდა იყოს, რომ ყველაფერზე მწვავე რეაქცია მისცეს, რომ არ დაუშვას რაღაც გადახრები, რომელიც საბოლოოდ მახინჯ სახეს მიიღებს.

– სწორია, როდესაც საზოგადოების რაღაც ნაწილს ყველა წვრილმანზე რომ აქვს თავისი რეაქცია?

– აბსოლუტურად სწორია. სხვათა შორის, მე არასდროს არ ვერიდები თუ „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე წარმომადგენელმა რაღაც სწორი თქვა, ეს არ აღვნიშნო, რომ მის წისქვილზე არ დავასხა. რაც სიმახინჯეა, ის იმ წუთში უნდა ითქვას, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ის, რომ მალევე გამოსწორდეს. არავითარი ერთი და ორი წელი. მორატორიუმი რომ გამოუცხადეს „ნაციონალურ მოძრაობას“, იმიტომ მივიღეთ, რაც მივიღეთ. ვიმეორებ, იმ წუთშია რეაგირება საჭირო.

სისხლისღვრა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან

ჩიორა თაქთაქიშვილს, გიგი უგულავას და თენგიზ გუნავას სცემეს

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილი 8 თებერვალს პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით უნდა გამოსულიყო. ამ გამოსვლისთვის თითქმის ყველაფერი მომზადებული

იყო. უმრავლესობამ და უმცირესობამ ლამის ყველა დეტალი შეათანხმეს. 7 თებერვალს კი ცნობილი გახდა, რომ პარლამენტი სააკაშვილის მოსმენაზე უარს ამბობდა.

უარი უმრავლესობაში მყოფმა ქართულმა ოცნებამ თქვა. ნაციონალები პრეზიდენტს უარს ნამდვილად ვერ შეჰკადრებდნენ. მათი შეფასებით, ოცნება პრეზიდენტთან და უმცირესობასთან დებატებისთვის მზად არ აღმოჩნდა.

ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა კოალიცია „ერთსულოვნება“. კოალიციის წევრები 8 თებერვალს პარლამენტთან პრეზიდენტისთვის სირცხვილის დერეფნის მოწყობას აპირებდნენ. დერეფნის მოწყობა მათ აღარ დასჭირდათ, მაგრამ ქუთაისში მაინც ჩავიდნენ და პარლამენტთან ღირსების აქცია გამართეს.

პარლამენტის უარის მიუხედავად, სააკაშვილმა მოხსენების გაკეთება არ გადაიფიქრა. მისმა პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გვახარა, რომ პრეზიდენტი ხალხს ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართავდა.

ამჯერად სირცხვილის დერეფნის მოწყობის იდეა უკვე ყოფილ პოლიტპატიმრებს გაუჩნდათ. ისინი დღის პირველ ნახევარშივე შეიკრიბნენ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. მიიტანეს ცოცხები და განაცხადეს, რომ სააკაშვილს სირცხვილის დერეფანში გაატარებდნენ. ცოცხების გარდა, მათ კვერცხებიც მოიმარაგეს.

ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებს თვალს პრეზიდენტის გარემოცვაც ადევნებდა. გავრცელდა საგანგებო განცხადება. პრეზიდენტის ადმინისტრაცია მოსალოდნელ პროვოკაციაზე პასუხისმგებლობას ბიძინა ივანიშვილს აკისრებდა. ამ განცხადებას ივანიშვილის გარემოცვაც გამოეხმაურა. მათი განცხადებით, საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებს პრემიერი ემიჯნება.

ბიბლიოთეკასთან მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. ყოფილი პოლიტპატიმრები ბიბლიოთეკაში შესვლის ნებართვას ითხოვდნენ. მათი მოთხოვნა არავინ გაითვალისწინა. ამიტომაც მათ შენობის კარი თავად გააღეს. უფრო სწორად, შეამტვრიეს.

ამას დაპირისპირება მოჰყვა. აქციის მონაწილეებმა რამდენიმე შუშა ჩაამტვრიეს. აქციის მონაწილეებსა და დაცვის თანამშრომლებს შორის პატარა ჩხუბსაც ჰქონდა ადგილი.

ყოფილი პოლიტპატიმრები აცხადებდნენ, რომ თუკი დარბაზში შესვლის საშუალება არ მიეცემოდათ, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და პრეზიდენტს ბიბლიოთეკაში არ შეუშვებდნენ.

ამ ინციდენტიდან ცოტა ხანში დამატებითი ძალები გამოიძახეს. ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის დამატებითი ძალები განლაგდნენ.

სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა გიგი უგულავას გამოჩენას. აქციის მონაწილეები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფაც. მას შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს. უგულავა იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

მისი ბედი გაიზიარა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა თენგიზ გუნავამაც. აქციის მონაწილეებმა სასტიკად სცემეს დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს.

ვითარება უმართავი ხდებოდა. პრეზიდენტის იქ გამოჩენა კიდევ უფრო გაამწვავებდა შექმნილ ვითარებას. პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა გაავრცელა განცხადება და გვამცნო, რომ სააკაშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღარ მივიდოდა. ამ ინფორმაციას ხალხი სიხარულით შეხვდა, მაგრამ დაშლაზე უარი განაცხადეს.

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მივიდა. მან აქციის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდა. თავიდან ისინი დაშლაზე უარს ამბობდნენ. მერე კი დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით უსუფაშვილი: „პროვოკაცია უგულავამ მოაწყო“

შორენა მარსაგიშვილი

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებმა ქვეყანაში დიდი აღიარება მოიპოვა. ნაციონალურმა მოძრაობამ მომხდარზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას" დააკისრა. მეოცნებეები კი პროვოკაციის მოწყობას ნაციონალებს აბრალებენ.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მომხდართან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ვითარების დაძაბვაში ლომის წილი გიგი უგულავამ შეიტანა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, არსებობს კადრები, სადაც ნათლად ჩანს, რომ პროვოკაციას ნაციონალები აწყობენ.

– მე მანახეს კადრები, სადაც ჩანს, რომ მომხდარი მოვლენები ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო მოწყობილი და ამ კადრებს მალე საზოგადოებას ვანახებ. კადრებში ჩანს, რომ პოლიციას გაკეთებული ჰქონდა ორი კორიდორი, ამასთან, პოლიციამ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს შენობაში ალტერნატიული შესასვლელით შესვლაც შესთავაზა, სადაც მათი უსაფრთხოდ გადაადგილება იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა ალტერნატიული შესასვლელის სარგებლობაზე უარი განაცხადეს და მიზანმიმართულად დემონსტრანტებისკენ გაემართნენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ნათელია, რომ ნაციონალურ მოძრაობას წინასწარ ჰქონდა განზრახული სიტუაციის პროვოცირება და დაძაბულობის შექმნა, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ მმართველი გუნდი მომხდარზე პასუხისმგებლობას სრულად იღებს. უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა შეგნებულად შეარჩია ეროვნული ბიბლიოთეკა და პროვოკაციისთვის მოემზადა.

– დღეს მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საზოგადოებას არ აწყობს. ამას ჰქონდა თავისი წინაპირობები. მე მინდა გავაკეთო რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება. პირველი – სამართლებრივი მხარე – გუშინ საქართველოს პარლამენტის ბიურომ სრულიად კანონიერი და კონსტიტუციური გადაწყვეტილება მიიღო. ყოველგვარი სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ პარლამენტმა რაიმე გააკეთა კონსტიტუციის საწინააღმდეგო, უსაფუძვლოა. კონსტიტუცია პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას ითვალისწინებს და ჩვენ ვთქვით, რომ მას ამის საშუალება ექნებოდა. პარლამენტის რეგლამენტი ამბობს, რომ პრეზიდენტის პარლამენტში მოსვლა, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე შედგება. 6 თებერვალს პირველ სხდომაზე გამოსვლა თავად პრეზიდენტმა არ ისურვა, ასე რომ, მისი გამოსვლა 8 თებერვალს შედგებოდა თუ 25 თებერვალს, ამით არც კონსტიტუცია და არც რეგლამენტი არ დაირღვეოდა. უმრავლესობამ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც პარლამენტში იმ ფონზე, რა ფონიცაა დღეს შექმნილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერისა და მისი ქმედებების გამო ჩვენ გვინდოდა, რომ დამატებითი გართულებები თავიდან აგვეცილებინა და გვქონოდა დრო იმისთვის, რომ შემდგომი გართულებები თავიდან აგვეცილებინა. ჩვენ უმცირესობის წარმომადგენლებს შევთავაზეთ, რომ პრეზიდენტის გამოსვლის ცოტა ხნით გადადებაზე ეფიქრათ. მათ ამაზე უარი თქვეს იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის ნებას ვერავინ აღუდგება წინ, როგორც ჩანს, დღესაც. უმრავლესობამ პრეზიდენტის გამოსვლის გადადების და არა გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. ამიტომ ამით კიდევ ერთხელ მივეცით შანსი მასაც და „ნაციონალურ მოძრაობასაც“, რომ გააკეთონ დასკვნები, თუ რა ხდება ქვეყანაში, რომ მათ დაკარგეს ძალაუფლება, რომ მათ დაკარგეს ხალხის მხარდაჭერა. რა მივიღეთ დღეს? ჯერ კიდევ გუშინ, მე მითხრეს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ეროვნულ ბიბლიოთეკას დაუკავშირდა და ღონისძიების იქ ჩატარება ითხოვა. ეს იყო კიდევ ერთი პროვოკაციის მცდელობა, ალბათ, ის ელოდა, რომ ჩვენი მხრიდან უარი იქნებოდა, რადგან ეროვნული ბიბლიოთეკა გარკვეულწილად პარლამენტის პატრონაჟის ქვეშაა. რა თქმა უნდა, ჩვენ არანაირი შეფერხება რა გვინდოდა, მაგრამ საკითხავია, რატომ გადადგა მან ეს ნაბიჯი. თუ მას თავისი მოხსენების გაკეთება უნდოდა, მას შეეძლო, ეს იქიდან გაეკეთებინა, საიდანაც გააკეთა კიდევაც, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ის მიიჩნევს, რომ გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი დაპირისპირება უმცირესობის პროვოკაცია იყო.

– გიგი უგულავამ დაახლოებით 40 მეტრი გაიარა ხელების ქნევით და სკანდირებით – „აბა, მოდით!“ „აბა, ვინ ხართ!“ ასეთი გამომწვევი ქმედება არ შეიძლება იქნეს ჩადენილი რომელიმე პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსის მხრიდან. უგულავამ პროვოკაცია მოაწყო და თაქთაქიშვილი გაილახა. ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი. არჩევნებმა სააკაშვილს პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა, ამას სჭირდება გააზრება. დღეს ჩვენ ვნახეთ, რომ შს მინისტრი მივიდა ადგილზე, რაც ძალიან კარგია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ასეთი რამ პარლამენტთან რომ მომხდარიყო? ამას უფრო მეტი რეზონანსი მოჰყვებოდა. როგორც ჩანს, მას ეს ჩაფიქრებული ჰქონდა. ამიტომაც ვერანაირი პოლიცია ვერ გაუმკლავდება ადამიანთა ისეთ ჯგუფს, რომელსაც ასეთი რამ აქვს დაგეგმილი, – აცხადებს უსუფაშვილი.

ამის მიუხედავად, უსუფაშვილი მომხდარზე პასუხისმგებლობას იღებს. პირობას დებს, რომ დამნაშავეები დაისჯებიან.

სააკაშვილი: „მე ვერავინ გამომკეტავს!“

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ერს მაინც მიმართა. პარლამენტის დაწუნებულმა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში არშეშვებულმა სააკაშვილმა განცხადება ავლაბრის რეზიდენციიდან გააკეთა.

პრეზიდენტის გამოსვლა 8 საათზე უნდა დაწყებულიყო. სააკაშვილმა, როგორც ყოველთვის, დააგვიანა და ლამის საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო.

ავლაბრის რეზიდენციასთან საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი. ინციდენტებს იქაც ჰქონდა ადგილი. თუმცა არავინ უცემიათ. აქციის მონაწილეები სააკაშვილის გადადგომას ითხოვდნენ და წადი! წადის! სკანდირებდნენ.

პრეზიდენტის გამოსვლის დაგვიანებას ნაციონალები სხვადასხვანაირად ხსნიდნენ. გაავრცელეს ინფორმაცია, რომ რეზიდენციაში პირდაპირი ჩართვის მანქანებს არ უშვებდნენ. მერე გაირკვა, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

მიხეილ სააკაშვილმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ პარლამენტმა მის მოსმენაზე უარი განაცხადა. მან ქართული სახელმწიფოს სახელით დიპლომატებს მომხდარი ინციდენტის გამო ბოდიში მოუხადა.

პრეზიდენტის განცხადებით, ის მზად იყო მოესმინა თავისი ოპონენტების კრიტიკა. თუმცა, როგორც თავად ამბობს, მეოცნებეები არ აღმოჩნდნენ ამისთვის მზად.

– პირველ რიგში, მინდა დღევანდელი მოვლენების გამო დიდი შეშფოთება და გულისტკივილი გამოვთქვა. თქვენ იცით, რომ ჩვენ რაიმე სახის გართულება არ გვინდოდა და, მით უმეტეს, შეტაკება მომხდარიყო. ყოველწლიურად საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში მიდის, აკეთებს მოხსენებას. მე ვყოფილვარ პარლამენტის წევრი, როცა პრეზიდენტი აკეთებდა მოხსენებას. მე ვყოფილვარ როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე უმცირესობის წევრი, როცა ჩემი წინამორბედი პრეზიდენტი პარლამენტში მოდიოდა. სიამოვნებით ვესწრებოდი ხოლმე გამოსვლებს, რადგან ეს იყო მშვენიერი შესაძლებლობა, რომ მისთვის მოგვესმინა, გამოგვეხატა ჩვენი აზრი, ჩვენი პოზიციები და ასევე ქვეყნისთვის შედარების საშუალება მიგვეცა. ამისთვის არის ასეთი გამოსვლები. ამისი შანსი საქართველოს პარლამენტს ჰქონდა. მე ვაპირებდი მათი მოწვევით დღეს იქ მისვლას, გამოვიდოდი, შემდეგ ყველა მათგანი ყველა საკითხზე მწვავე კითხვებს დამისვამდა, დამგმობდნენ ალბათ, გამაკრიტიკებდნენ, მე ამას მოვისმენდი, გავითვალისწინებდი, ან პასუხს გავცემდი, მაგრამ ასე მუშაობს დემოკრატია. გუშინწინ იქ რაღაც დებატები შედგა, რომელიც, როგორც ჩანს, ვიღაცას არ მოეწონა და ამის შემდეგ გამოცხადდა, რომ პრეზიდენტის გამოსვლა იყო გადადებული. გადადებული იყო ულტიმატუმის ფორმით, რომ პრეზიდენტი ვერ გამოვიდოდა, ვიდრე პარლამენტის და უმცირესობა-უმრავლესობის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს არ დათანხმდებოდა. ასეთი რამე არ ხდება არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში. აქ არის დიპლომატიური კორპუსი. მე მინდა, მათ ბოდიში მოვუხადო დაგვიანებისთვის, ასევე ბოდიში მოვუხადო, რომ მათ მიმართ მოხდა ძალადობრივი საქციელი, ბოდიში მოვუხადო ქართული სახელმწიფოს სახელით იმიტომ, რომ მე, როგორც ამ სახელმწიფოს მეთაური, ვიზიარებ პასუხისმგებლობას ჩვენი პოლიციის მოქმედებაზე და თუნდაც უმოქმედობაზე, ამ შემთხვევაში. მაგრამ დამემოწმებით, რომ არ არსებობს არც ერთი დემოკრატიული ქვეყანა მსოფლიოში, სადაც პრეზიდენტს უკრძალავენ გამოსვლას პარლამენტის წინაშე, როცა მას ეს ეკუთვნის და უკრძალავენ გამოსვლას სიტყვით და საერთოდ უკრძალავენ გამოსვლას სასახლიდან, – განაცხადა სააკაშვილმა.

მან გაიხსენა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ის მდგომარეობაც, რა დღეშიც ის ჩავარდა.

– ჩვენ ყველას გახსოვს, რა დამართეს მას. გამოკეტეს ჯერ მთავრობის სახლში, შემდეგ სარდაფში. მე ვერ გამომკეტავენ. იმიტომ, რომ ამ შენობას ბუნკერი არა აქვს. ის არის შუშის. მე ვერსად გამომკეტავენ, – განაცხადა სააკაშვილმა.

ის ამბობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მიზეზებს იგონებდა. ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა მხარს უჭერდა მათ ინიციატივას. სააკაშვილის თქმით, ის არ აპირებდა მთავრობის დათხოვნას.

ამასთან თქვა, რომ ეწინააღმდეგება პარლამენტის თბილისში გადმოტანას. რის გაკეთებასაც უმრავლესობა აპირებს.

სააკაშვილი გაოგნებულია იმით, რომ მეოცნებეები ნაციონალებზე ზეწოლას ახორციელებენ და ძველ ცოდვებს უხსენებენ. უკვირს, რომ მათ დაკითხვაზე იბარებენ. მისთვის ეს ალბათ მართლაც გასაკვირია, რადგანაც მისი ნაციონალები ოპონენტებს გაცილებით მძიმე ფორმებით უსწორებდნენ ანგარიშს. ყველას კარგად გვახსოვს დეპუტატ ბონდო შალიკიანის დაკავების ოპერაცია.

ავლაბრის რეზიდენციაში გამწესებულმა სააკაშვილმა ის სიტყვაც წაიკითხა, რომელიც მას პარლამენტში გამოსასვლელად ჰქონია მომზადებული. თავად ასე ამბობს, რომ მანამდე დაწერა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ვერავინ უარყოფს იმ პროგრესს, რაც ბოლო პერიოდში იქნა მიღწეული.

– მე მაინტერესებს, ეს არის ის საქართველო, რაზეც ჩვენ ვოცნებობდით?! ეს არის ევროპისკენ მიმავალი გზა?! ის, რისი წახალისებაც დღეს ხდებოდა, მათ შორის პოლიტიკოსების მიერ ტელე-ეთერებსა და სოციალურ ქსელებში. ბოლო დღეებში, ხანდახან ვფიქრობ, რომ შეიძლება, ვეღარ ვხვდები, რა შეიძლება ხდებოდეს, იმიტომ, რომ ყველაფერი შეიძლება გვინდოდეს, გარდა იმისა, რაც დღეს მოხდა. საარჩევნო კამპანია დასრულდა და ვიდრე ახალი დაწყებულა, მოდით, შევთანხმდეთ აწმყოზე. ვერავინ უარყოფს იმ პროგრესს, რასაც ბოლო პერიოდში მივაღწიეთ, ამის უარყოფა ჭკვიანური პოლიტიკური გათვლაა, მაგრამ რას მოუტანს ქვეყანას ამ ყველაფრის უარყოფა? ყველაზე კარგად მე ვიცი, რომ ეს გზა არც იდეალური ყოფილა, არც უშეცდომო, ვიცი, რომ ჩემი თანამოქალაქეების პირობები უფრო მეტად უნდა გაუმჯობესებულიყო და ა.შ. ვიცი ისიც, რომ ბევრი პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ერთი მთავარი რამ შევინარჩუნეთ, ერთობა, რაც, მთელი ამ კრიზისის მიუხედავად, მძიმე რეგიონში ჩვენმა ამაყმა და დახვეწილმა ერმა გადაიტანა, ოკუპაციის პირობებში კი დემოკრატია შევინარჩუნეთ, – განაცხადა სააკაშვილმა.

თავის მოხსენებაში პრეზიდენტმა ბევრ რამეზე ისაუბრა და იმისკენაც მოგვიწოდა, რომ ადამიანებს არ უნდა ვუთვალთვალოთ. კიდევ ბევრ რამეზე ისაუბრა, მაგრამ არა ძველებური რიხით.

პარლამენტში რომ გამოსულიყო, ალბათ რამდენჯერმე შეაწყვეტინებდნენ ტაშით გამოსვლას. გუშინ მხოლოდ ერთხელ დაუკრეს ტაში, ტაში იყო ომახიანი. ნაციონალებს ხელისგულები არ დაუზოგავთ.

გამოსვლის დასრულების შემდეგ სააკაშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. პირველ კითხვაზე პასუხი ხეირიანად არ ჰქონდა გაცემული, რომ მისი გამოსვლა შეწყვიტეს და შს მინისტრის ბრიფინგი ჩართეს. ადრე ასეთ რამეს ვინ იკადრებდა, მაგრამ ახლა სხვა სიო უბერავს საქართველოში.

„ადამიანების სასაკლაო“

სოფელ ვეძათხევში მესამედ ვიყავი, ოჰჯეს ახჩევნებამდე, მესამედ 2 დღის წინ. დამეწყინე და უპატრონოდ მიტოვებულ სოფელში ახაფეხი შეცვლილა, გახდა იმისა, ომ ვინც ქიჰით სხვაგან გადასვლის საშუალება გამონახა, სოფელი დატოვა.

„გზა“ ვეძათხევამდე

ვეძათხევამდე მისვლა ორი გზით არის შესაძლებელი, სოფელ ანანურიდან და ველთაურებიდან. ანანურიდან ვეძათხევში მისასვლელად ორი მდინარე უნდა გადაიარო, ველთაურებიდან ერთი – ვეძა. ეს ის მდინარეა, გასულ წელს, 24 წლის გარსევან გოგოჭური რომ იმსხვერპლა. მდინარემდე მისასვლელად ჯერ მინდორი, მერე კი ტყეა გასავლელი. დათოვლილი, დამრეცი ფერდობებით მდინარემდე ვეშვები. ვეძა ახლა ისეთი დაწყნარებულია, ვერ იფიქრებ, ისე თუ შეუძლია ადიდება, ადამიანი დაახრჩოს.

მდინარეზე გადავდივარ და აღმართს მივუყვები. სოფელიც გამოჩნდა. სოფლის ერთადერთ წყაროსთან ორი ქალი დგას. ჩემი დანახვა უკვირთ: კიდევ კარგი დაგინახეთ შვილო, თორემ ძაღლები შეგჭამდნენ.

„ამფიბიებივით მივეჩვიეთ წყალში ცხოვრებას“

ორივე ტალახში დგას, სოფლის გზებიც მთლიანად ატალახებულია. დამეწყრილ მიწაში გამდნარი თოვლი რომ ჩადის, ასე ხდება ხოლმეო, მიხსნიან. თვითონ კამერასთან გამოჩენა არ სურთ და მეზობლებს ეძახიან: ლია, ფატი, ჩამოდით ჩქარა!

სანამ მეზობლებს მოაგროვებენ, ნაცნობ სახლთან ვჩერდები. ქაფიაშვილების სახლი კიდევ უფრო დამსკდარა, კედლებს შორის უზარმაზარი ნაპრალებია, სახლში აღარავინაა. მოგვიანებით ვიგებ, რომ ოჯახმა გაუსაძლისი პირობების გამო სოფელი დატოვა და თავი რადიოსადგურის დასახლებას შეაფარა. იოსებ ქაფიაშვილის მეუღლე და 12 წლის შვილი სოფელში პირველი სტუმრობისას გავიცანი. ზურგზე შეშამოკიდებულები ტყიდან სოფლისკენ მიდიოდნენ.

ამ ოჯახის გარდა სოფელი ნინო ქაფიაშვილის ოჯახსაც დაუტოვებია, თავად კი მარტო დარჩა. მისი შვილი, რძალი და 13 წლის შვილიშვილი საცხოვრებლად დუშეთში გადავიდნენ, ქირით. ვეძათხევიდან სკოლა 12 კილომეტრის მოშორებით არის, სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლი კი მეწყერმა ისე დაზიანა, რომ ცხოვრება საშიშია: „აქ რომ ბავშვები შევიყვანო, რა ვიცი რა დროს დაინგრევა, ხომ არ დამიძახებს, რომ გამოვიქცე,“ – ამბობს ნინო ქაფიაშვილი.

ნინო ქაფიაშვილის რძალს, თამუნა ფროდიაშვილს, 2011 წლის სექტემბერში ბავშვი მუცელში დაეღუპა, რადგან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა უგზოობის გამო სოფელში ვერ მივიდა. თამუნა ახლაც ორსულადაა და ბავშვს რამდენიმე დღეში ელოდება.

ვეძათხევიდან – გარდაცვლილი გარსევან გოგოჭურის დედა, დარეჯანიც წავიდა. ავად იყო და შვილებმა წაიყვანესო, მეუბნება დედამისი ნაბისი ზვიადაური, 80 წელს მიტანებული მოხუცი, რომელიც მარტო ცხოვრობს: „აღარ მინდა აქ ყოფნა, რა ხეირი ვნახე, ორი შვილიშვილი 24 და 20 წლისა, შვილი, სამ-სამი გარდაცვლილი ვაჟკაცი გამოვასვენე სახლიდან. ერთ შვილიშვილს კბილი სტკიოდა, სასწრაფო ვერ გამოვიდა აქამდე და მოკვდა. გარსევანიც, ხიდი რომ ყოფილიყო, ან ორი ხე რომ გაედოთ, არ დაიღუპებოდა. ეს სოფელი ადამიანების სასაკლაოა,“ – ამბობს ნაბისი ზვიადაური.

მოხუცს შვილის დაღუპვის შემდეგ სოციალური დახმარება მოუხსნეს. მისი ბიჭი მთაში მწყემსად იყო წასული, ისიც მდინარემ წაიღო და ცხედარიც ვერ იპოვეს. მოხუცის შემოსავალი მხოლოდ პენსია იყო, მაგრამ ორი თვეა პენსიაც არ აუღია, მიზეზი თავადაც არ იცის: „რაღაც კარტა უნდა შეცვალოო, სად წავიდე, როგორ შევცვალო. მეზობლები მაჭმევენ პურს, ზოგი 5 ლარს მაძლევს, ზოგი 3 ლარს. ჩემს შვილებს ჩემზე მეტად უჭირთ. იმ დღეს მირეკავს შვილი, დედი, ფული არა გაქვს, ბავშვს სიცხე აქვს და წამალი ვუყიდოო,“ – მეუბნება ნაბისი ზვიადაური.

ნაბისი ბებოს მეზობლები პროდუქტებითაც ეხმარებიან. მართალია თავადაც უჭირთ ამ პროდუქტების ყიდვა, უფრო მეტად კი სოფლამდე მიტანა, მაგრამ მოხუცს უპატრონოდ ვერ ტოვებენ. „აქ ისეთი ხალხი არ ვცხოვრობთ, როგორც მთავრობაში არიან, რომ მარტო მე, ჩემი მუცელი და ჩემი მისაყუდებელი სავარძელი. ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით,“ – ამბობს ადგილობრივი ამირან ზვიადაური.

პროდუქტები მეზობელი სოფლიდან სახედრით გადააქვთ, უამინდობის დროს კი ზურგით. სოფელი წლებია გარესამყაროს არის მოწყვეტილი. მეწყერმა ვეძათხევამდე მისასვლელი გზები წაიღო, სახლებს კი ბზარები დღითიდღე ემატება.

„სოფელი წყალში დგას 8 წელია უკვე. ამფიბიებივით მივეჩვიეთ წყალში ცხოვრებას,“ – ამბობს ამირან ზვიადაური.

რამდენიმე წლის წინ, მეწყერმა მისი და ჩაიტანა და სოფელმა სიკვდილს ძლივს გადაარჩინა: „მეწყერში ჩავარდა 2007 წელს, 5 წლის ძმისშვილმა დაინახა და ატეხა ამბავი. რომ არ დაენახა, ობლად ტოვებდა ორ შვილს, უგზოუკვლოდ დაიკარგებოდა. 7-8 კაცი ერთმანეთზე გადავებით და როგორც იქნა ამოვიყვანეთ. მერე თხა დაიხრჩო მეწყერში, ცხვარი, ძროხა კვდებოდა და ისიც გამოათრიეს, ვირიც ჩავარდა,“ – ამბობს ამირან ზვიადაური და კიდევ ერთ ისტორიას უგზოობასთან დაკავშირებით იხსენებს:

„ჩვენი სოფელი კაცი გარდაიცვალა. სოფელში რომ მოვასვენებდით, ტყეზე ჩამოვიარეთ, იქიდან რომ დაგვისხლტა მიცვალებული თავის სასახლით, ხევამდე ისე ვიარეთ, რომ ცალკე მიცვალებული იყო, ცალკე სასახლე“...

ამირან ზვიადაური 80 წლის მშობლებს პატრონობს, მამა უსინათლოა, დედაც ლოგინადაა ჩავარდნილი. ამბობს, რომ სოფელში მხოლოდ ისინი აკავებენ, თორემ უფერულ ცხოვრებას ვეღარ უძლებს: „არცერთ საუკუნეს არ შეეფარდება აქ ცხოვრება, „ვინუჟდენში“ ვართ, სხვა გზა არ გვაქვს. 1 თვეც ვერ იცხოვრებდი აქ, სულიერად გატყდებოდი. არაფერი საინტერესო აქ არ არის, ულიმღამო სიცოცხლეა, განა არ მომწყინდა? ვის არ მოსწყინდება, მაგრამ რა ვუყო 80 წლის მშობლებს, სად წავიდე?“

ამირანს სახლი მეწყერმა სანახევროდ დაუნგრია, გვედით პატარა ქოხი გააკეთა და მშობლები იქ ჰყავს, თვითონ ხან მშობლებთან არის, ხან ძმასთან, რომელიც ჟანგიანი თუნუქებით შეკრულ სახლში ცხოვრობს. ამირანი ამბობს, რომ 3 ბავშვის პატრონისთვის ასეთი სახლი უფრო უსაფრთხოა და ნგრევის შემთხვევაში ნაკლებად შესაძლებელია, რომ მსხვერპლი გამოიწვიოს.

„ოთხივე მხრიდან მეწყერი აქვს სოფელს და ყოველ ღამე გვეშინია, უკვე შევეჩვიეთ კიდეც ამ შიშს. აღარც შიში მოქმედებს და აღარც დაპირებები. ჩემს ძველ სახლში ჩაგიყვანდით, მაგრამ კედლები გადაწეულია, თან წყალშია და თუ ჩახვალთ, ველარ ამოხვალთ“ – ამბობს ამირან ზვიადაური.

სანამ ამირანი ვეძათხეველების ყოფაზე გვიამბობს, 65 წელს მიღწეული ბენო ინაშვილი მოგვიახლოვდა. ტყიდან მოდის, თან შეშით დატვირთული ვირი მოჰყავს.

„ველურებივით ვცხოვრობთ... რა გახდა 10 კომლის გადასახლება?“

„აი, ივანიშვილს დაანახეთ ჩემი სახედარი, ჩემი შეშა და ეს ჩვენი ცხოვრება. რას იზამდა თვითონაც ასეთ ყოფაში რომ იყოს,“ – გამარჯობის ნაცვლად მეუბნება ბენო ინაშვილი და პრემიერ მინისტრთან შეხვედრას ნატრულობს.

„ნეტა მანახა ეს ივანიშვილი. არც ტელევიზორში გამოსვლის საშუალება გვაქვს, არც არაფერი, რომ ხმა მივაწვდინოთ. თქვენ მაინც აჩვენეთ, რა დღეში ვართ. აღარც სახლები, აღარც მიწა, არც არაფერი, ჩვენი პატრონი არც ახალია და აღარც ძველი. ერთი ვინმე არ დაინტერესდა ეს ხალხი იქნებ ტყუისო, მოვიდნენ და შეამოწმონ. მოხედოს ერთხელ ამ საწყალ ხალხს, მთელი საქართველო რომ მოიარო, ამაზე გაჭირვებულ სოფელს ვერ ნახავ. ხალხს ცოტაოდენი ლობიო და კარტოფილი მოგვყავს, რომ შემოდგომის აზნაურებივით თავი გავიტანოთ,“ – ამბობს ბენო ინაშვილი.

მისი თქმით, რამდენი დღის წინ, ავადმყოფი შვილი უგზოობის გამო მეორე სოფლამდე ხელით გადაიყვანა: „ასეთ შემთხვევაში რა ვქნათ, ავადმყოფი სახედარზე შევსვათ?“ – მეკითხება ბენო ინაშვილი.

„2005 წლიდან ლაპარაკობენ მოგხედავთო. აბა მოვიდნენ და თითო დღე იცხოვრონ ამ სახლებში. გზაც ხან ისეთია, სახედარიც ვერ გადმოდის და იძულებული ხარ პროდუქტი ზურგით გადმოიტანო,“ – ამბობს ლამზირა კაციაშვილი.

ვეძათხევში მცხოვრები ადამიანების გასაჭირს უწყლოობის პრობლემაც ემატება. სოფლის ერთადერთ წყაროზე წყალი ხშირად წყდება, რადგან მოძველებული მილები სკდება და სანამ საკუთარი ძალებით დაზიანებას იპოვიან და მილს შეაკეთებენ, სოფელი უწყლოდაა. ამ ზამთარს, 1 თვე იმ წყალს ვსვამდით, რასაც საქონელი სვამსო, მეუბნებიან.

ვეძათხეველების თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას დახმარების თხოვნით არაერთხელ მიმართეს, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა. 2011 წლის შემდეგ ისინი აღარც სამინისტროს გახსენებია, გუბერნატორის ადმინისტრაციას კი ყურადღება არასდროს გამოუჩენია.

„არანაირი ყურადღება არც გუბერნიიდან, არც სამინისტროდან. 4 განცხადება შევიტანეთ კანცელარიაში, ტყუილად. დღევანდელმა გუბერნატორმა მაინც მოგვხედოს, ერთხელ მაინც გამოგზავნოს წარმომადგენელი. ვისი უნდა იწამო, ვის უნდა ენდო? ამოვიდა ამათი პოლიტიკა ყელში. ერთმანეთის ჭამაში გავა ეს 3-4 წელი, მერე სხვა პარტია მოვა და ახლა ისინი დაიწყებენ“ – აღნიშნავს ამირან ზვიადაური.

ადგილობრივების თქმით, 2-3 წლის წინ, სამინისტროს წარმომადგენლები ჯერ კახეთში, შემდეგ კი სამცხე-ჯავახეთში გასახლებას და ბინების 10 წლის შემდეგ დაკანონებას სთავაზობდნენ.

„ჩვენზე მეტად ვინ დაანგარა სტიქიამ? განა კახელების მშურს, მაგრამ 100 მილიონი გამოყვეს კახელებზე და ამ დალოცვილებს 200 ათასი ამ სოფელზე ვერ გამოუყვიათ? წეღან ვუსმენდი ბიძინა ივანიშვილს, ამდენი ლარი ირიცხება, რომ გლეხი წელში გაიმართოსო. აქ ვერც კომბაინი შემოდის უგზოობის გამო, ვერც ტრაქტორი, არც სარწყავია და როგორ გავიმართო წელში? ველურებივით ვცხოვრობთ,“ – ამბობს ამირან ზვიადაური.

ვეძათხეველების თქმით, ხელისუფლება ყურადღებას იმიტომ არ აქცევთ, რომ რადიკალურ ზომებს არ მიმართავენ.

„ამ პატარა სოფელს ბევრი არაფერი შეუძლია. ამას უნდა ხალხის ტალღა, მასა სჭირდება, რომ ან გზა გადაკეტო, ან შიმშილობა დაიწყო, მაგრამ ჩვენ თვითონ გვერიდება. სამაგიეროდ, იმათ არ ერიდებათ, ხომ უნდა ჰქონდეთ იმდენი შეგნება ხალხი რა დღეშია,“ – ამბობენ ადგილობრივები. ვეძათხევში ყველაზე ცუდი მდგომარეობა გაზაფხულზეა, როცა ნალექი მატულობს. ამ დროს, დამეწყრილ სახლებშიც ისე წვიმს, როგორც გარეთ. მოსახლეობამ საძირკველში მილები დააყენა და სახლებიდან წყალს ასე ტუმბავენ.

„როგორც ავაშენეთ სახლი, ორ წელში კედლები მთლიანად დაიბზარა. სხვა ადგილას გადაიტანო, ის უარესია. იძახა სააკაშვილმა, მოგხედავთო და აბა? ზოგი სამ კედელში ცხოვრობს, ზოგმა დაანება სახლებს თავი და გაიქცა. რა გახდა 10 კომლის გადასახლება,“ – ამბობს ნინო ქაფიაშვილი.

ერთადერთი, რაც მთავრობამ ამ დრომდე მათთვის გააკეთა ის არის, რომ სკოლის მოსწავლეებს ავტობუსი დაენიშნებათ, თუმცა უზგოობის გამო მოსწავლეებს რამდენიმე კილომეტრის გავლა მაინც ფეხით მოუწევთ. სოფელში, სასკოლო ასაკის 4 ბავშვია.

„მეცხრე და მეექვსე კლასელი ბავშვები მყავს. აქედან ანანურამდე 12 კილომეტრია, 7 საათზე მიდიან, ორი მდინარე ფეხით უნდა გადაიარონ, როცა ადიდებულია, ვერ გადადიან. მართალია ავტობუსი დაინიშნა, მაგრამ ცუდ ამინდში მაინც ვერ წავლენ სკოლაში იმიტომ, რომ ერთი მდინარე მაინც აქვთ გადასავლელი და საშიშია,“ – გვეუბნება ლია ზვიადაური.

სამინისტროს პოზიცია – წელს ბიუჯეტში ცოტა თანხაა, წინა წლებში საერთოდ არ იყო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის, წელს, ბიუჯეტში ძალიან მცირე თანხაა გათვალისწინებული და თუ სამინისტრო დამატებითი თანხების მოძიებას შეძლებს, ვეძათხეველებს დამეწყრილი ტერიტორიიდან გაიყვანენ.

„ვეძათხევთან დაკავშირებით, საქმის კურსში ვარ, სოფელშიც ნამყოფი ვარ და ამ ადამიანებს ვთავაზობდით კიდეც ლაგოდეხში გადასახლებას. რამდენიმე ოჯახი წინააღმდეგი იყო, შემდეგ დანარჩენებიც გადაიბირეს და ყველამ უარი თქვა. 2010, 2011 და 2012 წლებში, ასეთი პრობლემის მოსაგვარებლად ბიუჯეტში არცერთი თეთრი არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ ვუთხარით, რომ დროულად გამოეთქვათ სურვილი, რადგან ამ შეთავაზებიდან რამდენიმე თვეში, უკვე აღარ იყო მათი გასახლების შესაძლებლობა. წელსაც ძალიან ცოტა თანხაა გამოყოფილი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, 37 000 ოჯახია სტიქიით დაზარალებული და სულ 350 000 ლარია გათვალისწინებული მათ დასახმარებლად. იმედია დამატებითი თანხები გაჩნდება. ამაზე ვმუშაობთ და ვეცდებით, რომ ამ ოჯახებს დავეხმაროთ, მათი სოფლიდან გაყვანა ჩვენთვის პრიორიტეტულია,“ – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციის და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა ზაზა იმედაშვილმა.

ნათია დანიელაშვილი;

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

რაში დახარჯა გია თორთლაძემ კულტურის სამინისტროდან მიღებული 350 ათასი ლარი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ყოფილი დეპუტატის გია თორთლაძის წინააღმდეგ, სახელმწიფო ქონების გასხვისების საქმეზე გამოძიებას აწარმოებს. საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ „საქართველოს დეოკუპაციის ცენტრისთვის“ ჩარიცხულ 350 ლარს და 104 602 ლარად ღირებული „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ გაყიდვის ფაქტს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, 2012 წლის 5 სექტემბერს საქართველოს კულტურის სამინისტროდან პროექტის „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ ორგანიზების მიზნით, „საქართველოს დეოკუპაციის ცენტრს“, რომელსაც გია თორთლაძე ხელმძღვანელობს, 350 000 ლარი ჩაერიცხა. ამავე პროექტის ფარგლებში,

ცენტრისთვის უსასყიდლოდ და უვადოდ სარგებლობაში გადაცემული იქნა 104 602 ლარად ღირებული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“.

„სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს სახელმწიფო ქონების სარგებლობაში მიმღების მიერ ქონების გასხვისებას. „დეოკუპაციის ცენტრის“ დირექტორმა გია თორთლაძემ არ გაითვალისწინა აღნიშნული კანონი და მოთხოვნა, ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“ 2013 წლის 4 იანვარს გაასხვისა 50 000 ამერიკულ დოლარად. თანხა კი მოიხმარა პირადი მიზნებისთვის“, – განაცხადა საგამოძიებო სამსახურის პრესმდივანმა ნათია სუხიაშვილმა.

მისივე თქმით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გია თორთლაძე მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას მის მიერ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას უკავშირებს. მისი თქმით, ავტომანქანა მთავრობის განკარგულებით უვადოდ და უსასყიდლოდ გადაეცა, ხოლო მას შემდეგ, რაც ცენტრს ვალი დაედო, მანქანა გაყიდა და ავტომობილის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ბიუჯეტში შეიტანა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ინფორმაციით, 350 ლარის მიღების თაობაზე, თავდაპირველად (17.07.2012) ხელშეკრულება გაფორმდა ფიზიკურ პირ გია თორთლაძესა და კულტურის სამინისტროს შორის და მას ხელს აწერენ ერთის მხრივ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ქირია, ხოლო მეორეს მხრივ ფიზიკური პირი გია თორთლაძე. ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში მასში შეტანილ იქნა ცვლილებები და ხელშეკრულების მხარედ ფ. პ. გია თორთლაძის ნაცვლად, „მიმწოდებლად“ დაფიქსირდა გია თორთლაძის მიერ 2012 წლის 7 აგვისტოს დაფუძნებული ააიპ „საქართველოს დეოკუპაციის ცენტრი“.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი აქვეყნებს პროექტის ხარჯთაღრიცხვასაც: ოფისის კომუნალური ხარჯები – 2 000 ლარი; საკანცელარიო ინვენტარი – 3 000 ლარი; მაღალი გამავლობის ავტომანქანა – 103 500 ლარი; კომპიუტერული ტექნიკა – 12 000 ლარი; ფოტო – ვიდეო აპარატურა – 20 000 ლარი; სამონტაჟო მაგიდა (ვიდეო) – 35 000 ლარი; დროშები და სხვა ატრიბუტიკა – 6 000 ლარი; სამივლინებო ხარჯები – 50 000 ლარი; საწვავის ხარჯები – 20 000 ლარი; ფოტო გამოფენა – 5 000 ლარი; ფილმის „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ (დამონტაჟება) – 25 000 ლარი; დოკუმენტური ფილმი „ასვლა მწვერვალ შივლინგზე პროექტით – საქართველო ოკუპანტების გარეშე“ – 30 000 ლარი; ვიდეო კლიპის დამზადება/განთავსება – 10 000 ლარი; ბანერების დანზადება/ განთავსება – 18 500 ლარი; ფოტოალბომის გამოშვება – 10 000 ლარი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის ფაქტზე სამი მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს (ბათუმი) ტერიტორიაზე, №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო განწესმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად, საზღვრის უკანონოდ ჯგუფურად გადაკვეთის ფაქტზე საქართველოს სამი მოქალაქე – ამირან ბერიძე, მაია ბერიძე და ლაშა ორაგველიძე დააკავა .

აღნიშნულმა პირებმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარ პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ, ჯგუფურად გადმოკვეთეს.

ფაქტთან დაკავშირებით, სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიულ მთავარ სამმართველოში სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამმართლის კოდექსის 344-ე მუხლის II ნაწილის „ა“ქვეპუნქტით დაიწყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სამივე მოქალაქეს, დაეკისრათ გირაო 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით თითოეულს და გადახდის ვადად განესაზღვრათ 25 (ოცდახუთი) დღე, ასევე, თანხის სრულ უზრუნველყოფამდე ისინი პატიმრობაში დარჩებიან.

ნიუსპრესი

საია პარლამენტს რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებისკენ მოუწოდებს

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

„საია განმარტავს, რომ ერთის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია წარდგეს პარლამენტის წინაშე ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ყოველწლიური მოხსენებით, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს პარლამენტს აკისრია ვალდებულება მოისმინოს აღნიშნული მოხსენება. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი აღნიშნული მოსმენის დროდ უთითებს „როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს.“ ასეთი პლენარული სხდომა მიმდინარე კვირაში გაიმართა.

ზემოაღნიშნული ჩანაწერი საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის დროსთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ საწინააღმდეგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლოა ჰქონდეს ადგილი, თუ არსებობს საგამონაკლისო ვითარება და შესაბამისი გონივრული დასაბუთება. გუშინდელი ბიუროს სხდომაზე გაკეთებული განმარტება და მოსმენის გაურკვეველი ვადით გადადებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოტივაცია, საიას მოსაზრებით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საგამონაკლსო ვითარებად და ზოგადი წესიდან გადახვევის მისაღებ დასაბუთებად“ – ნათქვამია საიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში..

საია, მოვუწოდებს საქართველოს პარლამენტს, გაითვალისწინოს რეგლამენტის მოთხოვნები, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და დროულად მისცეს საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით გათვალისწინებული ყოველწლიური მოხსენებით წარდგომის შესაძლებლობა, რადგან სხვა საშუალებით, მათ შორის, დღეს ეროვნული ბიბლიოთეკაში დაგეგმილი პრეზიდენტის მიმართვით, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი არ არის.

შეგახსენებთ, რომ 7 თებერვალს გამართულ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განმარტებიდან ცნობილი გახდა, რომ „საქართველოს პარლამენტში დღეისთვის დაგეგმილი პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება გადაიდო. პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლის კონსტიტუციური უფლების გამოყენების საშუალება მიეცემა, თუმცა უმრავლესობის პოზიციაა, ეს მოხდეს მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილება ან როდესაც ცალსახად და მკაფიოდ იქნება გამოხატული პრეზიდენტის და მისი პოლიტიკური გუნდის პოზიცია პარლამენტისთვის იმ უფლების დაბრუნების თაობაზე, რაც მას ეკუთვნის.

ნიუსპრესი

საქართველოში ნარკომანების რიცხვი არ გაზრდილა

მერი ნამორაძე

ყოფილმა ხელისუფლებამ განგაში ატეხა ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბების გაზრდასთან დაკავშირებით. სადარბაზოებში დაყრილი შპრიცებიც უხვად დათვლილა, მაგრამ გამოუყენებელი შპრიცების აღმოჩენამ სხვაგვარი ეჭვები დაბადა და ახალი კითხვები გააჩინა. რატომ უნდა მოსვლოდა აზრად ნარკოტიკების მომხმარებელს გამოუყენებელი შპრიცის გადაგდება? შეიცვალა თუ არა ნარკოპოლიტიკა ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ? ამასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ფსიქოსოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელ დალი უშარიძეს ესაუბრა.

დალი უშარიძე:

– ტერმინს დავაზუსტებდი: „ნარკოტიკების მომხმარებელთა“ რაოდენობა და „მოხმარებული ნარკოტიკების“ რაოდენობა. მომხმარებელთა რაოდენობა დიდად არ უნდა იყოს შეცვლილი, თუ წინა მთავრობისა და ახლანდელი მთავრობის პერიოდს შევადარებთ – ოქტომბრამდე და ოქტომბრის შემდეგ. რაც იყო აგვისტო-სექტემბერში, მგონია, რომ იმდენივეა ახლაც. რაც შეეხება მოხმარებას, მისი დინამიკა მართლაც ცვალებადია ბოლო ორი წლის განმავლობაში. ინექციური ნარკოტიკების მოხმარება ძირითადად 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისში შემცირდა, როცა ძალოვნების ძალისხმევის შედეგად მკვეთრად შეიზღუდა ხელმისაწვდომობა ინექციურ ნარკოტიკებზე. რაც შეეხება შემდეგ პერიოდს, იგი დეზომორფინის გავრცელებით ხასიათდება. ეს საინექციო კუსტარული ნარკოტიკია, რომლის მოხმარება იატაკქვეშეთში იყო გადასული პოლიციის მხრიდან რეპრესიების გამო. ეს გრძელდებოდა 2012 წლის აგვისტომდე.

გასული წლის აგვისტოში აშკარად შერბილდა ნარკოპოლიტიკა და ბაზარზე გამოჩნდა მანამდე გამქრალი ინექციური ნარკოტიკები, როგორიცაა ჰეროინი და სუბოტექსი და ეს ინერცია, როცა თამამად გამოდიოდნენ ქუჩაში და თვალშისაცემი იყო მათი სიმრავლე, გაგრძელდა ოქტომბერ-ნოემბერში, არჩევნების შემდეგ. შემდეგ ისევ გაამკაცრა პოლიციამ დამოკიდებულება, უფრო მეტი ადამიანი იქნა დაკავებული, რომლებმაც გაიარეს ექსპერტიზა და ფაქტია, რომ აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში რომ არ აკავებდნენ ადამიანებს, არ იყო შესაბამისი სტატისტიკა. როდესაც დაიწყეს დაკავება და ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, გამოვლინდა უფრო მეტი.

– ჯარიმებთან დაკავშირებით რა ვითარება გვაქვს?

– კანონი არ შეცვლილა, იგივე კანონები მოქმედებს. ერთი ნარკოლოგის ინფორმაციით, ორი დღის წინ ჯარიმის გადაუხდელობის გამო კლინიკაში დააპატიმრეს მწოლიარე პაციენტი. ხელბორკილები დაადეს და ციხეში წაიყვანეს, რადგან ნარკოტიკების მოხმარების გამო ჯარიმა ვერ გადაიხადა. ასე რომ, ამ კუთხით არაფერი შეცვლილა სახელმწიფოში, იგივე კანონები მოქმედებს. ისევ ისე ასამართლებენ, აჯარიმებენ და აპატიმრებენ კიდეც.

– თქვენი რეკომენდაცია ხელისუფლებისადმი ჯარიმების შემცირება იყო?

– დიახ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება. იმ პაციენტის შემთხვევაში, რომელიც კლინიკიდან წაიყვანეს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაედინათ მსგავსი რამ, რადგან ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანი, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კანონმდებლობით ფსიქიატრიულ პაციენტთან არის გაიგივებული. როგორ შეიძლება, ფსიქიატრიული ავადმყოფი, რომელსაც მწვავე ფაზაში აქვს დაავადება და მკურნალობის კურსს გადის, ამ დროს გამოკეტო ციხეში, სადაც ვერავითარ სამედიცინო დახმარებას ვერ მიიღებს. აქ მგონია, რომ პაციენტის უფლებებია ძალიან უხეშად დარღვეული.

– წინა ხელისუფლება იმით ამაყობდა, რომ სწორედ მაღალმა ჯარიმებმა მოახდინა ნარკოტიკების გავრცელების პრევენცია. თქვენ რატომ არ ეთანხმებით ამას?

– ნარკოტიკების გავრცელების პრევენციაზეა საუბარი? მაშინ ვთქვათ, რომელი ნარკოტიკების, იმიტომ რომ ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰეროინსა და სუბოტექსს ვეღარ შოულობდა, ვეღარ შოულობდა იმ წამლებს, რომლებიც აფთიაქებში იყიდებოდა და მათგან კუსტარული ნარკოტიკები მზადდებოდა. „კროკოდილის“ დასამზადებლად საჭირო პრეპარატების გაყიდვა არ შეზღუდულა. ოთხი წელია, მგონი, ყველა ქალაქსა და ყველა რეგიონში ერთი სიტუაცია იყო – ეგრეთ წოდებულ „ლირიკას“ ტაბლეტების სახით რომ იღებდა ძალიან ბევრი ადამიანი, ეს დამოკიდებულება არ არის? ავადმყოფობა არ არის? შემცირდა აკრძალული ნივთიერების მოხმარება. „ლირიკა“ არ იყო შეტანილი აკრძალული ნივთიერებების სიაში და ეს არ ისჯებოდა. აქ უკვე თამაშთან გვაქვს საქმე, როგორ იქნება ინტერპრეტირებული და გაგებული ეს ყველაფერი.

– ქალბატონო დალი, ზიანის შემცირების პროგრამები თუ გახდა პრიორიტეტული ახალი ხელისუფლებისთვის?

– სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება. ახალ უმრავლესობაში მრავალფეროვანი შეხედულების პოლიტიკოსები არიან. ყველას შეხედულება მე არ ვიცი ზიანის შემცირების პროგრამების შესახებ. რაც შეეხება კანონმდებლობას, სადაც კარგად ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება ამა თუ იმ პრობლემისადმი, როგორც გითხარით, არაფერი შეცვლილა. პოლიტიკოსებს ამასთან დაკავშირებით თავიანთი დამოკიდებულება არ გამოუთქვამთ. ერთი-ორი სატელევიზიო გამოსვლის გარდა, არავის დაუფიქსირებია ნარკომანიის პრობლემისადმი თავისი დამოკიდებულება.

– „ნარკოსცენა“ კვლავ დახურული რჩება?

– ნარკოსცენა ძალიან დახურული იყო 2012 წლის აგვისტომდე. აღარავინ დევნიდა მომხმარებლებს, თუ დააკავებდნენ, უშვებდნენ სახლში – იყო ასეთი ვარდისფერი 3-4 თვე. ახლა ისევ გამკაცრებულია დამოკიდებულება. ისევ ისე დევნიან, აპატიმრებენ, უსჯიან თავისუფლების აღკვეთას მაღალი ვადით, მაღალი ჯარიმები ეკისრებათ, ასე რომ, ნარკოსცენა კვლავ დახურულია.

– სადარბაზოებში შპრიცების უხვად გამოჩენაზე რას გვეტყვით?

– ამის დაჯერება ძალიან მიჭირს, რადგან, ხშირი იყო შემთხვევები, როცა აფთიაქებში ვერ შედიოდნენ მომხმარებლები შპრიცების საყიდლად, რადგან იქიდან გამოსულებს აუცილებლად გააჩერებდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციელი და სასჯელიც გარანტირებული იყო. ამიტომ, მიკვირს, ასეთი მაღალი რისკის ფასად ნაშოვნი უხმარი შპრიცი რატომ უნდა დააგდოს ადამიანმა სადარბაზოში? რაც შეეხება ნახმარი შპრიცების დაყრას, ასეთი ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა, იმიტომ რომ სხვა დროს ყოველთვის რეკავდნენ მოქალაქეები და გვეუბნებოდნენ დაყრილი შპრიცების შესახებ. ჩვენ რეიდებს ვაწყობდით და ვასუფთავებდით შპრიცებისგან. ბოლო ოთხი წელია, ასეთი რამ აღარ გამიგია. მსგავსი ფაქტები ჩვენამდე არ მოსულა.

– შპრიცების გაცვლის პროგრამა თუ ხორციელდებოდა?

– შპრიცების გაცვლის პროგრამა 5 წელზე მეტია, აღარ განხორციელებულა, რაც 2007 წელს, გვარამიას პროკურორობისას გაამკაცრეს ჯარიმები და ჩვენს სოციალურ მუშაკსაც კი ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა, თუ იმ შპრიცებს ვინმე ჩამოგვართმევდა და იქ ჰეროინის კვალს აღმოაჩენდა. ეს ძალიან სახიფათო იყო და ჩვენ უარი ვთქვით შპრიცების გაცვლაზე. მას შემდეგ ეს პროგრამა აღარ განხორციელებულა. ჩვენ მომხმარებლებს უზრუნველვყოფთ სტერილური საინექციო ინსტრუმენტებით. გამოყენებულ შპრიცებს არ ვაგროვებთ.

პედაგოგთა შრომის ანაზღაურება იზრდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ სანიკიძემ, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები და სამომავლო გეგმები გუშინ, მასწავლებლის სახლში შეკრებილ თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლებს გააცნეს.

განათლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი, 61 700 მლნ ლარით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში ცვლილებები შევიდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურებაში. სრულ განაკვეთზე საბაზო ხელფასი 245 ლარიდან 305 ლარამდე გაიზარდა. ზრდა შეეხო სტაჟის ნაწილსაც კერძოდ: – 5 წლამდე სტაჟის მქონე პედაგოგის სამუშაო სტაჟის შესაბამისი კოეფიციენტი 0,1-დან 0,2 მდე გაიზარდა, 5-დან 10 წლამდე პედაგოგის 0,3-დან 0,5 მდე, ხოლო 10 წელზე მეტი სამუშაო სტაჟის მქონე პედაგოგის 0,5-დან 0,6 მდე. 24,5-დან 30,5 ლარამდე გაიზარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატიც. ასევე გაიზარდა იმ მასწავლებლის დანამატი, ვინც არაქართულენოვან სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლის. კლასის დამრიგებლობის დანამატი კი, – 62,48-დან 76,25 ლარამდე გაიზარდა.

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე ასევე, სერტიფიცირებულ პედაგოგს (გარდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგისა), რომლის სამუშაო დატვირთვა კვირაში 15-17 საათს შეადგენს, სერტიფიცირების დანამატი მიეცემა.

ნიუსპრესი

ბაკურიანში გაჩეხილი ხეების ადგილზე ახალი ნერგები დაირგვება

ახალციხეში, ღია გარემოსდაცვითმა სამოქალაქო ინიციატივამ, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებთან „ტყის მდგრადი მართვის“ პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლის მიზანიც სამცხე-ჯავახეთის ტყეებში არსებული პრობლემების ანალიზი იყო.

ორგანიზაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს წარმომადგენლებმა აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

მომავლისთვის კი, ღია გარემოსდაცვითმა სამოქალაქო ინიციატივამ, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ადგილობრივი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, საკოორდინაციო ჯგუფის წევრებისა და მოსახლეობის მონაწილეობით ბაკურიანის ტერიტორიაზე ნარგავების დარგვა დაგეგმა.

„ტყის მდგრადი მართვის“ ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობებს, მხარდაჭერას სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ივანე წიკლაური უცხადებს.

ნიუსპრესი

ქვემო ქართლში ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი გამოავლინეს

„ბუნებრივი რესურსების სააგენტოს“ ქვემო ქართლის სამმართველომ, რეგიონში , ხეტყის უკანონო გაჩეხვის ფაქტი გამოავლინა.

სააგენტოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბოლნისის რაიონის კაზრეთის სატყეო უბანში, გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოპოვებული ქართული მუხის ჯიშის პირველი კატეგორიის (სამასალე) 17 მორი,რომლის საერთო მოცულობა 8 კუბური მეტრია.

გარემოს ზიანმა 1 944.00 ლარი შეადგინა.

სამართალდამრღვევი უკვე გამოვლენილია, რომელიც ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისის მემკვიდრე ა.პ. აღმოჩნდა.

საქმის მასალები, სისხლის სამართლის დევნის დასაწყებად, სამართალდამცავ ორგანოებზეა გადაცემული.

ნიუსპრესი

რა სარგებელს მოგვიტანს აფხაზეთის რკინიგზის გახსნა

თამარ ნინიძე

ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ სოსო ცინცაძესთან

– როგორია თქვენი შეფასება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნასთან დაკავშირებით? რამდენად წარმოადგენს ის ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხეს?

– ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მას აქვს დადებითი მომენტებიც და შეიცავს ასევე გარკვეულ გამოწვევებს და რისკებსაც. მთავარი ის არის, რომ დიპლომატიური და პოლიტიკური ნება ერთად უნდა გაერთიანდეს, რათა ის დადებითი, რაც საქართველოსთვის არის ამ მომენტში, იქნეს გამოყენებული და რისკები კი მინიმუმამდე დავიდეს. ის, რომ რკინიგზა ერთი სიტყვით შევაფასოთ, როგორც დადებითი ან უარყოფითი მომენტი, არ იქნება მართებული. რკინიგზის გახსნაში დაინტერესებულია საქართველოც, უფრო მეტად – სომხეთი და რუსეთი. ახლახან მოვისმინე დილეტანტური განცხადებები, რომ დიპლომატია ვაჭრობის საგანი არ არის, მაგრამ დიპლომატია, ძველიდან მოყოლებული, ყოველთვის იყო ვაჭრობის საგანი და ახლაც ასეა. ორმხრივი კომპრომისებია, ეს საკითხი სიახლით არ გამოირჩევა. გასული საუკუნის დამლევს შევარდნაძე მართავდა მოლაპარაკებებს პუტინთან რკინიგზის საკითხზე და მაშინ ასეთი ფორმულირება იყო, რომ რკინიგზის სანაცვლოდ უნდა დაწყებულიყო ლტოლვილთა ეტაპობრივი დაბრუნება. დღეს რას სთავაზობს საქართველოს რუსეთი რკინიგზის აღდგენის სანაცვლოდ, არ ვიცი, ეს არ იცით არც თქვენ და არც არავინ. ეს კონფიდენციალური საკითხია. რკინიგზის გახსნა არ არის ისეთი რამ, დღეს რომ მიიღებენ გადაწყვეტილებას და ხვალვე დაიწყება მისი განხორციელება. ამას წლები დასჭირდება, აღდგენით სამუშაოებს დრო სჭირდება. რუსეთისა და სომხეთის პოლიტიკური დაინტერესება იმდენად დიდია, რომ დროში დიდად არ გაიწელება. ჩვენი მოქალაქეებისთვის უფრო იოლი იქნებოდა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება, თუ გვეცოდინება, რას მიიღებს ამის სანაცვლოდ საქართველო. როგორც კი გაიხსნება რკინიგზა, რუსეთი და სომხეთი იმავე დღიდან მიიღებენ დივიდენდებს, თუ არის დაპირება, რომ საქართველო დაუახლოვდება აფხაზეთს და ეს ათეული წლით გაიწელება, არ მიმაჩნია დივიდენდად. ზუსტად იმავე დღიდან უნდა დაიწყოს საქართველომაც დივიდენდების მიღება, რა დღესაც ამას მიიღებენ რუსეთი და სომხეთი. ეს უნდა იყოს ორმხრივი მოძრაობის ქუჩა. იქ უამრავი ტექნიკური საკითხია.



– ტექნიკურ საკითხებზე მინდოდა მეკითხა. საბაჟო გამშვებ პუნქტზე უნდა დადგნენ ქართველებიც აფხაზებთან და რუსებთან ერთად. ქართული მხარისთვის რა არის აქ მომგებიანი, ამით ხომ აფხაზური მხარე იურიდიულად ფიქსირდება, როგორც დამოუკიდებელი?

– ტექნიკური საკითხები ძალიან რთული მოლაპარაკებების თემაა. წინასწარ აქ რეცეპტის დადება შეუძლებელია. რამდენად პრინციპული იქნება ქართული მხარე, ეს არის გასარკვევი. ისიც საკითხავია, რამდენად კვალიფიციური დიპლომატები წარმართავენ მოლაპარაკებას. როცა არ ვიცით საწყისი პოზიციები, ასე ძნელია წინასწარ საუბარი. ოფიციალური თბილისი, ალბათ, უკვე ჩამოყალიბებულია თავის პოზიციაში. ჩვენ, საზოგადოებამ, ეს არ ვიცით. ის, რასაც ამბობს პაატა ზაქარეიშვილი, ძალიან მიმზიდველია, მაგრამ ეს არ არის მყისიერი, ეს დროში გაწელილი სარგებელია. მართლაც, სად იქნება საბაჟო, სად ამოვლენ მესაზღვრეები და მოსთხოვენ პასპორტებს, ეს არის მნიშვნელოვანი. ბევრჯერ გადამიკვეთია მატარებლით საზღვარი, ყოველთვის ვიცი, რომ ამოდიან მესაზღვრეები და ითხოვენ პასპორტებს. აქ სად ამოვლენ, მე არ ვიცი. ეს მოლაპარაკების თემაა და, ვინ ამოვა, ესეც გასარკვევია. საწყისი პოზიცია ყოველთვის გულისხმობს კომპრომისებს. ეს უკვე ჩვენი სასაუბრო თემა არ არის. პოლიტიკურად ფეთქებადი პრობლემაა, მსუყე ნიადაგს იძლევა პოლიტიკური დემაგოგიებისა და პროვოკაციებისთვის. წარმოადგენა არა მაქვს ახალი ხელისუფლების დიპლომატიურ პოტენციალზე ამ მოლაპარაკებების საკითხში. საქართველოს მოსახლეობას დიპლომატიურ სფეროში ახალი ხელისუფლება ჯერ საქმეში არ უნახავს. ვერც მარცხზე ვისაუბრებთ და ვერც მიღწევებზე. რკინიგზის საკითხი ტესტი იქნება ახალი ხელისუფლებისთვის დიპლომატიური პოტენციალის დასადგენად.

– საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში გამოცდილი ბრძანდებით. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამაში ეროვნული საფრთხეები დაინახა და რკინიგზის საკითხი გვერდზე გადადო. რა მოტივაცია ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას?

– იყო რეფორმების ნაწილი, რომელზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება და რომელიც შთამბეჭდავი წარმატებით იქნა განხორციელებული, მაგრამ, აი, საგარეო პოლიტიკურ სფეროში ბევრი ხორკლიანი კითხვის დასმა შემიძლია ძველი ხელისუფლებისთვის. რკინიგზის საკითხით საქართველოს შეეძლო, მნიშვნელოვანი დივიდენდები მიეღო საგარეო პოლიტიკაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯების, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაფართოების, რეგიონში ახალი რეალიების დამკვიდრების თვალსაზრისით, მაგრამ ეს ხელიდან იქნა გაშვებული, 2008 წელს საქართველოს ხელისუფლება იოლად წამოეგო რუსულ პროვოკაციას, როგორც ქაშაყი ანკესს, როცა რუსეთთან გზები საერთოდ გაიყინა, მაშინ უკვე ეს საკითხი დაკონსერვდა, მაგრამ მახსოვს, ერთერთ სამიტზე სააკაშვილმა კვიმატი კითხვები დაუსვა პუტინს, როცა რუსეთმა დაიწყო რუსეთ-აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენა. პუტინი დაიბნა და უთხრა, ამას კერძო ფირმები აკეთებენო. სააკაშვილი არ მოეშვა, რომელი კერძო ფირმები, აგერ, ტრანსპორტის მინისტრი ჩადის და ის ხელმძღვანელობს ამ პროცესსო. მერე დიპლომატია ჩაკვდა.

– სომხეთი იზოლაციაშია დიდი ხანია, მაგრამ აზერბაიჯანისა და თურქეთის ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ. რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ურთიერთობები არ გაფუჭდეს?

– ეს ივანიშვილსა და მაია ფანჯიკიძეს უნდა ჰკითხოთ. ახლა პრემიერი მიდის თურქეთში. ერთ-ერთი რთული თემა რკინიგზა იქნება. იქ ნებისმიერი მოლაპარაკების დროს რკინიგზასთან დაკავშირებით უხილავად ბაქოც იქნება წარმოდგენილი. ივანიშვილს მოუწევს პასუხის გაცემა თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემის კითხვებზე.

– თუ ეს პროექტი ვერ განხორციელდება, თქვენი აზრით, ამით საქართველო მოიგებს თუ წააგებს?

– საქართველო ამით არაფერს მოიგებს. დღეს ეს საკითხი დღის წესრიგში შესულია, როგორც გადასაჭრელი პრობლემა. აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განხორციელდება ეს პროექტი. შეიძლება, ისე განხორციელდეს, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე გამოთქმისა არ იყოს, შორეულ პერსპექტივაში წამგებიანადაც. აქ ყველაფერი დამოკიდებულია მოლაპარაკე მხარეთა რესურსებსა და მათ შინაგან ინტელექტუალურ პროფესიულ პოტენციალზე, რა დგას მოლაპარაკე მხარეთა ზურგსუკან. ძლიერი დიპლომატი სუსტს წყაროზე წაიყვანს და წყალს არ დაალევინებს.

ციხეში დაავადებული პატიმრები მრავლად არიან

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ უფლებადამცველ გიორგი თევზაძესთან

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პატიმრებმა ერთობლივი წერილი გადასცეს უფლებადამცველ გიორგი თევზაძეს, სადაც აღწერენ იმ გაუსაძლის და უმძიმეს მდგომარეობას, რაც მათ გადაიტანეს არჩევნებამდე და ითხოვენ იმ თანამშრომლების პასუხისგებაში მიცემას, რომლებიც შემჩნეული იყვნენ გულგრილობასა და ღირსების შემლახველ ქმედებებში.

– როგორც უფლებადამცველსა და პენიტენციური სისტემის საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრს, თუ გაქვთ ახალი ინფორმაციები პატიმრებისგან მათ მიმართ გამოვლენილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე?

– პენიტენციური სისტემის ჩემი საზოგადოებრივი მონიტორინგის პერიოდში, როდესაც ვატარებდი №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგს, პატიმრებმა გადმომცეს ათობით მსჯავრდებულის ერთობლივი განცხადება, რომელშიც ასახელებენ იმ თანამშრომლების გვარებს, რომლებისგანაც განიცდიდნენ შეურაცხყოფასა და ღირსების შემლახველ დამოკიდებულებას. აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ: „კადრების გავრცელებამდე ამ დაწესებულებაში გვხდიდნენ სულს. ციხეში მიღებისთანავე გვაყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. გვათავსებდნენ კარანტინში 15-20 კაცამდე. ე.წ. აბეზიანკაში, სადაც მხოლოდ ფეხზე მდგომი ეტეოდა კაცი. გვამყოფებდნენ პარასკევამდე, რომელ დღესაც ხდებოდა ჩვენი კამერაში გადაყვანა, ანუ „დაშლა“, რა დროსაც ციხის უკლებლივ ყველა თანამშრომელი იყრიდა თავს და ხდებოდა პატიმართა ფიზიკური შეურაცხყოფა. პატიმართა უმრავლესობას აძალებდნენ, ეთანამშრომლათ ციხის ადმინისტრაციასთან. ამ შემთხვევაში გვისწორდებოდნენ ფიზიკურად, გვატიტვლებდნენ და გვყრიდნენ „ფუქსებში“. შემოდიოდნენ „დუბინკებით“ და უმოწყალოდ გვცემდნენ გონების დაკარგვამდე. თუ გონებას დავკარგავდით, გვასხამდნენ ცივ წყალს. ასეთ დღეში ვყავდით კამერაში, სადაც ყოველი სართულის ოფიცრები ცალ-ცალკე აწყობდნენ „მინი დაშლას“. საკანში ყოფნის დროს მუდმივად ხორციელდებოდა სიტყვიერი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეურაცხყოფა დილისა და ღამის განმავლობაში. არ გვაძლევდნენ წამოწოლის საშუალებას. სათვალთვალოდან შემოხედვის დროს გვთხოვდნენ ფეხზე დადგომას. გვიკრძალავდნენ თვალებში შეხედვას. „პრაგულკაზე“ გასვლის შემთხვევაში გვაფურთხებდნენ, გვაგინებდნენ კამერაში. გვიყრიდნენ პირად ნივთებს და გვიქმნიდნენ ისეთ პირობებს, რომ მეორედ აღარ გაგვჩენოდა სუფთა ჰაერზე გასვლის სურვილი. გვიკრძალავდნენ საკანში საუბარს, გაცინებასა და ლოცვის ხმამაღლა წაკითხვას, ე.წ. მაღაზიაში ყიდვას, ტელეფონით გამოყენებასა და კუთვნილი პაემნით სარგებლობას ერთი თვის ვადით. უკიდურეს შემთხვევაში გვიშვებდნენ კარცერში 10-20 დღით. იქ ჩაყვანის წინ ჯერ გვაწამებდნენ და მერე შევყავდით კარცერში. ჩიხის ადმინისტრაცია ე.წ. ბაკურიანში გვათავსებდა ყოველგვარი მიზეზის გარეშე თავისი ნება-სურვილით. კარცერში, ხშირ შემთხვევაში, გვიკრძალავდნენ ლოგინით სარგებლობას. ვადის გასვლის შემდეგ გადავყავდით კარანტინში და შემდეგ მეორდებოდა იგივე სცენარი. ასეთ გაუსაძლის პირობებში ვიმყოფებოდით გლდანის №8 დაწესებულებაში, სადაც მუდმივი რეჟიმის მიერ პატიმრების ცემის, მათ მიმართ გინებისა და პატიმრების განწირული ყვირილის ხმა ისმოდა მხოლოდ, რომლებიც ითხოვდნენ შველას და ამ წამების შეწყვეტას. ამ ყველაფერში მონაწილეობდნენ ციხის უკვე გათავისუფლებული თანამშრომლები“. ამავე განცხადებაში მოყვანილია ამ თანამშრომელთა არასრული სია, რომელთა მიმართ წარდგენილი პრეტენზიების გამოძიების მიზნით მოხდება შესაბამისი რეაგირება კომპეტენტურ ორგანოებში, რათა დადგეს კანონიერი და სამართლიანი მართლმსაჯულება დამნაშავე პირების მიმართ. ამასთანავე, აუცილებელია, პროკურატურამ უფრო სრულად, ობიექტურად და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში გამოიძიოს და პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომელთა მიმართ პრეტენზია და დანაშაულებრივი ქმედებები შესაბამისი მტკიცებულებებით დადგინდება. ასევე მიზანშეწონილია, გაგრძელდეს ამ საკითხის გამოძიებაზე საზოგადოებრივი მონიტორინგი უფლებადამცველების მონაწილეობით.

– რამდენად მოწესრიგდა პატიმრების საინფორმაციო უზრუნველყოფის პრობლემა პენიტენციურ სისტემაში?

– წინა პერიოდთან შედარებით, ამ მიმართულებით ვითარება პენიტენციურ სისტემაში მნიშვნელოვნად გამოსწორებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ №7, №9 და სხვა დაწესებულებებში არა აქვთ ტელევიზორები, ხოლო თუ აქვთ, შეერთებულია ტრანსლაცია დივიდიზე, სადაც 12 საათიდან 22 საათამდე ურთავენ ფილმებს, ყველა საკანს აყურებინებენ ერთსა და იმავე ჩანაწერს. გამომდინარე იქიდან, რომ ტელეტრანსლაციის მიღების საშუალებას მოკლებულია მხოლოდ №7 და №9 სასჯელაღსრულების დაწესებულებები, შეიძლება ითქვას, რომ ისინი სხვებთან მიმართებით ართანაბარ დისკრიმინაციულ პირობებში იმყოფებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება ეწინააღმდეგება ციხის ევროპული წესების მიდგომას, რომელთა მიხედვითაც პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სატელევიზიო გადაცემებზე და ყოველი აკრძალვა ინდივიდუალურად უნდა იყოს დასაბუთებული შესაბამისი წესით. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და ამისთვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვა დაწესებულია სასამართლო ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევებში, რაც უნდა იყოს საჯაროდ გაცხადებული. როგორც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნულთან დაკავშირებით ახლადარჩეულმა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარს, თუმცა საკითხი განხილვის პროცესშია. ვფიქრობთ, სამინისტრომ უნდა მიიღოს შესაბამისი, საერთაშორისო მოთხოვნებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები და გაითვალისწინოს უფლებადამცველების მოსაზრებები.

– სასჯელაღსრულების სისტემაში მოცემულ ეტაპზე საზოგადოებრივი მონიტორინგის პროცესი შეჩერებულია. რა პერსპექტივა აქვს ამ პროცესის განახლებას?

– სასჯელაღსრულების სისტემის საზოგადოებრივ მონიტორინგთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია გამაჩნია. ეს პროცესი უნდა განახლდეს ან პენიტენციურ სისტემაში მინისტრის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, ან შემუშავებული საკანონმდებლო რეგულაციების მეშვეობით. როგორც უახლოეს წარსულში ამ პროცესის უშუალო მონაწილემ, მინდა განვაცხადო, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის სამუშაო, რომელიც განახორციელეს მონიტორებმა ამ სისტემაში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთელი რიგი პრობლემების მოგვარებასა და სისტემის გამჭვირვალობაში. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ის მაღალი ნდობის ფაქტორი, რომელიც იგრძნობოდა პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების მხრიდან. მე, როგორც საზოგადოებრივი მონიტორინგის ერთერთ ყოფილ წევრს, მაქვს გამოკვეთილი ხედვები და პოზიცია პენიტენციური სისტემის მონიტორინგის განხორციელების გზებსა და სამართლებრივ მექანიზმებზე. სხვათა შორის, მსურს აღვნიშნო, რომ დამიკავშირდნენ პენიტენციური სისტემიდან წარმომადგენლები, რომლებმაც მომაწოდეს საზოგადოებრივი მონიტორინგის სამართლებრივი მექანიზმის შესახებ სამუშაო დოკუმენტი ჩვენი პოზიციებისა და შენიშვნებისთვის. ჩვენი მხრივ იქნა შეთავაზებული გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს შემდგომ დახვეწას. იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში განახლდება ეს პროცესი და განახლებულ მონიტორინგში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პრაქტიკოსი უფლებადამცველები, იურისტები და იმ შეზღუდვების მიმართ, რომლებზეც არის აზრთა სხვადასხვაობა, მეტი პრაგმატული და შედეგიანი მიდგომები იქნება. ასევე ვიმედოვნებთ, რომ პენიტენციური სისტემის უწყების ხელმძღვანელობა გააღრმავებს ურთიერთობებს და ადგილი არ ექნება შერჩევითი თანამშრომლობის პრინციპს. მნიშვნელოვანია უშუალო კომუნიკაციის პერსპექტივების შექმნა არასამთავრობო სექტორისათვის უწყების მაღალი თანამდებობის პირებთან, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის თანამშრომლობას. ბუნებრივია, აქაც უნდა გამოირიცხოს თანამშრომლობის შერჩევითი მიდგომები.

– ბატონო გიორგი, დღეს თუ მკურნალობენ მძიმედ დაავადებულ პატიმრებს, რა შეიცვალა ამ მხრივ?

– სამწუხაროდ, ეს პრობლემა პრობლემად რჩება, დაავადებული პატიმრები კვლავ მრავლად რჩებიან საპატიმრო დაწესებულებებში, მიუხედავად სისტემის მხრიდან ამ პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯებისა. საზოგადოებრივი მონიტორინგის პროცესში ჩემი საქმიანობისას ძირითად პრობლემას წარმოადგენდა მედიკამენტების, განსაკუთრებით ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების უქონლობა, არადამაკმაყოფილებელი და არაშესაბამისი მკურნალობა, თუმცა, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ შიშველი ხელით პრობლემის მოგვარება წარმოუდგენელია, თუ არ იქნება მხარდაჭერა და შესაბამისი დაფინანსება. ძირითადად იკვეთება ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების კატეგორია, ასევე არის სხვა მძიმე ინფექციური დაავადებების მქონე (შიდსი, „ც“ ჰეპატიტი და სხვა) მქონე პატიმრები. ამ პრობლემის გაღრმავებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ეს პატიმრები არ არიან იზოლირებული ჯანმრთელი პატიმრებისაგან. ამ მხრივ აუცილებელია ციხეების პასპორტიზაცია, სანიტარიული მოთხოვნების დაცვა, ასევე ამ მიმართულებით დადგენილი საერთაშორისო ნორმების გათვალისწინება, სამეურნეო ნაწილში მყოფი იმ რისკ-ჯგუფის პატიმართა და თანამშრომელთა შემოწმება, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ დაავადებულ პატიმრებთან და კვების პროდუქტებთან. ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი სამუშაო იქნება შესასრულებელი. პრობლემად რჩება პატიმრების კვების გაუმჯობესების საკითხიც, თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს.

ჯუმბერ ჯანდიერი ქართული ესტრადის პატრიარქია

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორმა, მხატვარმა, პოეტმა და მსახიობმა ჯუმბერ ჯანდიერმა ახალი დისკი გამოუშვა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის 120 წლის იუბილეს მიეძღვნა. ალბომში ორი დისკია გაერთიანებული „ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“ და „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. პირველ დისკში 12 სიმღერაა შესული, მეორეში – 13. სიმღერებს ასრულებენ თავად ჯუბა ჯანდიერი, ბორის ბედია, ბუბა კიკაბიძე, ნანი ბრეგვაძე, სოფო ბედია, დავით გველესიანი, მედეა ფანიაშვილი, გოგა შავერზაშვილი, ეკა მამალაძე, ტატო გოდერძიშვილი, გიორგი შარაბიძე, გელა ბერიძე, გიორგი მეფისაშვილი, ნინუცა ბედიაშვილი, ანსამბლი „ბაგრატი“, ფორტეპიანოს აკომპანიმენტს თამილა ჩირაძე წარმოადგენს. საიუბილეო ალბომში შეტანილია „მთაწმინდის მთვარე“, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძე თავად კითხულობს.

ჯუმბერ ჯანდიერის ახალ ალბომზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ლიტერატმცოდნეობის აკადემიის ვიცე- პრეზიდენტმა, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა და გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილმა ნოდარ ტაბიძემ. მან თავის სიტყვას „ზღურბლზე სათქმელი“ უწოდა:

„ნიჭიერი პიროვნებები, რომლებიც ერთი ან ორი განშტოებით საქმიანობენ, არცთუ ცოტაა, რაც შეეხება მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებულთ, ისინი თითზე ჩამოსათვლელია. ერთ-ერთი მათგანია ბატონი ჯუმბერ (ჯუბა) ჯანდიერი კომპოზიტორი, მსახიობი, მწერალი, მხატვარი, მომღერალი და რაც არსებითზე არსებითია, სიკეთის უშურველად გამსხვისებელი. ზოგჯერ ვფიქრობ: დიდ ფეოდალთა მიერ საუკუნეების მანძილზე წვეთ-წვეთობით დაგროვილი ნიჭის უეცარ ამოფრქვევასთან ხომ არ გვაქვს საქმე? იმასაც დავსძენ, ჯანდიერთა სიმაღლესა და მრავალმხრივ საქმიანობაზე ორიგინალურად მიგვანიშნებს საგვარეულო ღერბი, მისი სურათი დასტამბული ბატონი ჯუბა ჯანდიერის ერთ-ერთი ბოლო ლექსების კრებულში. ჯუბა ჯანდიერი, რომელ სფეროშიაც არ უნდა მუშაობდეს, ყველგან ინარჩუნებს ხელწერის სიფაქიზე-ორიგინალობას. მის მსახიობობაზე, უპირველეს ყოვლისა, ტიტული მეტყველებს – საქართველოს სახალხო არტისტი. კარგად მახსოვს, როგორი მაღალი ოსტატობით შეასრულა „დიდოსტატის მარჯვენაში“ მელქისედეკ კათალიკოსის როლი. ერთ თეატრალს დავესესხები: „ამ ურთულესი პერსონაჟის ხასიათის გახსნით, ჯუმბერ ჯანდიერი დაგვეხმარა კონსტანტინე გამსახურდიას ჩანაფიქრის ამოცნობაში“. რა შეიძლება ითქვას ჯუმბერ ჯანდიერზე, როგორც მხატვარზე? აქაც, უპირველეს ყოვლისა, დახასიათების ირიბ გზას ვირჩევ. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი მონაწილეობდა პარიზის, დიჟონის, ბონის, კიოლნის, ამსტერდამის, პრაღის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის და თბილისის პერსონალურ თუ მხატვართა ჯგუფურ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის გალერეაში. შეაღებთ ფერმწერის ბინის კარს და ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდებით. არა მხოლოდ კაბინეტის, არამედ მისაღები ოთახისა და გალერეის კედლებიც სურათებითაა დაფარულ-დამშვენებული. ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს „თეთრი მდუმარება“, „მეუღლის პორტრეტი“ და განუმეორებელი პეიზაჟების მთელი ციკლი. ეს ნახატები, ბატონი ჯუბას სულის აფეთქებასაც ინახავს, ამიტომაც ლაპარაკობს მათზე ასეთი გზნებით. ჯუბა ჯანდიერის პოეზიაში კლასიკური მოტივები მძლავრობს. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ბუნებით რომანტიკოსი მგოსანი უღრმავდება ყოფნა-არყოფნის პრობლემას და პატრიოტულ გულისძგერასაც მკაფიოდ ავლენს. ლექსთა დიდი ნაწილი მიძღვნითი ხასიათისაა. ეს თვალსაჩინოდ განსაზღვრავს მათ რიტმსა და პანეგირიკის ხასიათს. მთავარი მაინც ის არის, რომ ავტორი ყოველთვის ცდილობს გულწრფელი დარჩეს. არცთუ იშვიათია მომხიბვლელი სახეები, აფორისტული მიგნებები, მაგალითად: „უფლისციხესთან ანთებული იდგა წუხილი“, „ხოხბისფერ ზეცას ადნება მთვარე“, „არ მიყვარს, როცა მზისკენ სწრაფვაში, ქარს გაურბიან“ და სხვა. ერთი სიტყვით, გულგრილი ვერ დარჩები ამ უაღრესად ნიჭიერი კაცის პოეზიისადმი. რაც შეეხება მისი ხელოვნების გვირგვინს: ბრწყინვალე მუსიკოსი, ცნობილი კომპოზიტორი, „ღირსების ორდენის“, „ქართული კულტურის ამაგდარი“, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი. მისი შემოქმედება უკიდეგანოა. ბატონი ჯუბა ჯანდიერის მუსიკა ღრმად ეროვნულია და ნატიფი, ასევე დავესესხები ერთ-ერთ მუსიკალურ მოღვაწეს: „ჯუბა ჯანდიერი შემოქმედების თითოეული ნერვით სამშობლოს ქვეყნის ჭირვარამთან შენივთული კაცია“, „იგი არის ქართული ესტრადის პატრიარქი“ – ასე ახასიათებენ ჯუბა ჯანდიერს ყველგან, სადაც კარგად ესმით ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი. ამის უტყუარი დადასტურებაა მისი მუსიკალური ნაწარმოებები: „თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს“, „ისევ მიჰქრის თეთრი რაში“, „დღეს ილია საქართველოს ლოცავს“, „ერი, მამული იწამეთ ღმერთად“, „დიდი ივერიის აღმაშენებელო“ და მრავალი სხვა, და რაც მთავარია, მან ხომ ერთ-ერთმა პირველმა ააჟღერა თანამედროვეობის უდიდესი პოეტის გალაკტიონის სულის მუსიკა „მზეო მარიამ“, „უსიყვარულოდ“, „იისფერი თოვლი“, „დაკარგული ოცნება“, „ქარი ქრის“, „მზეო თიბათვისა“, „მთაწმინდის მთვარე“, „მერი“, „შენ და შემოდგომა“, „რომელი საათია?!“, თეთრი პელიკანი“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ და მრავალი სხვა. დამეთანხმებით, ძნელია ლექსის მუსიკალური ფერისცვალება, მით უფრო გალაკტიონის შედევრებისა. ბატონი ჯუბა ჯანდიერი დიდი შინაგანი მუსიკალური რიტმითა და ულამაზესი ჰარმონიით, ბრწყინვალედ გადმოსცემს პოეტის ნააზრევს. საგანგებოდ ჩავუღრმავდი გალაკტიონის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს, რომანსებს, მუსიკალურ კომპოზიციებს, საფორტეპიანო პიესებს და არა მხოლოდ ჰანგებმა მომხიბლა, არამედ ლექსთა ორიგინალურმა გააზრებამაც და ამის გამჟღავნებამ აკორდებში. ყური დავუგდოთ „ქარი ქრის“ მუსიკას, მასში მხოლოდ ბუნების სურათთა ცვლა როდია, ჯუბა ჯანდიერის ყველა ნაწარმოებში სიღრმისეული ჭვრეტა და განზოგადება აღიქმება. ამას წინათ, კომპოზიტორის ბინაში მთელი ორი საათი ვუსმენდი გალაკტიონის ლექსებზე დაწერილ ნაწარმოებებს, აი, უკანასკნელი აკორდი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, ეს თხზულება ძალზე ორიგინალურად არის აგებული. ნაწარმოები იწყება ლოცვით, საგალობელს ენაცვლება სიმღერა. უვერტიურა ძალზე ეფექტურია. იგი კომპოზიტორის ღრმა ჩანაფიქრზე მეტყველებს, რომელიც აძლიერებს ლექსის სიღრმეს. ბატონი ჯუბას გაგებით, ხსენებული ლექსი ქართული პოეზიის გვირგვინია. უმაღლესი აკორდი, ეს არის სამამულო კულტურის წინაშე, მუხლის მოყრა, მისი გაღმერთება, ამიტომაც ლოცვით დაწყება უპრიანზე-უპრიანია. აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, თან ამგვარ მოსაზრებას გამოვთქვამ: – ხომ არ აჯობებდა, ნაწარმოები ლოცვით რომ მთავრდება, საგალობელს ფონად დასდებოდა გალაკტიონის მიერ წაკითხული ლექსის ფრაგმენტი? მაშინ ნაწარმოები კომპოზიციურად უფრო შეიკვრებოდა და გალაკტიონის ხმაც ახალ პლასტს შესძენდა ნაწარმოებს. ბატონი ჯუბა ყურადღებით მისმენს, ვგრძნობ, დასკვნებსაც აკეთებს. უწყვეტი აზროვნება მისი თვისებაა. ყოფითი საქმიანობის ჟამსაც კი მაღალ მატერიებს ეჭიდება. ეს უფლებას მაძლევს განვაცხადო: რომ მთელი მისი მრავალმხრივი შემოქმედება, ამ დიდი საზოგადო მოღვაწისა, განსაკუთრებით გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი ბრწყინვალე მუსიკალური ნაწარმოებები, უდიდესი ნაშრომია, წარმოჩინებული მის ორ ახალ მუსიკალურ ალბომში, რომელსაც კომპოზიტორი უძღვნის გალაკტიონის უკვდავ ხსოვნას და სრულიად საქართველოს!“

კომპოზიტორს 25 იანვარს 77 წელი შეუსრულდა, როგორც თავად ამბობს, საკმაოდ საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული გზა განვლო, თუმცა წინ კიდევ ბევრი საქმე აქვს და გაჩერებას არ აპირებს.

ჯუბა ჯანდიერი:

– ალბომი მთლიანად გალაკტიონის ხსოვნას მივუძღვენი. გალაკტიონის ძმისშვილმა ნოდარ ტაბიძემ გულწრფელად დაწერა, რა განიცადა ამ ალბომის მოსმენისას, რადგან მასზე კარგად არავინ იცის გალაკტიონის შემოქმედება. ეს ალბომი სულ ახალთახალია, მისი პრეზენტაციაც არ ყოფილა. სავალალოა ქართველი ერისთვის, რომ გყავდეს გალაკტიონი და მისი 120 წლის იუბილე არ აღნიშნო. ეს მაშინ, როცა ინგლისიდან, კერძოდ, ლონდონიდან ბაირონის შთამომავლები ჩამოვიდნენ, რომ ეს იუბილე აღენიშნათ და თანაც ინგლისურად ითარგმნა გალაკტიონი. უცხოეთში იზეიმეს გალაკტიონის იუბილე და ჩვენ რა უბედურება გვჭირს? ხომ გაგიგიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, ასე ვართ ზუსტად ქართველები, ეს ჩვენი სენია. სანამ ვიღაც არ წავა უცხოეთში და იქ არ იყვირებენ, უი, რა ნიჭიერი გყოლიათო, მანამდე არავის დაფასება და დანახვა არ ვიცით. რომ კვდებიან, მერე კი ირტყამენ გულზე მჯიღს, აუ, ეს რა გვყავდაო, გაიძახიან. ლადო ასათიანის თქმის არ იყოს, „მოკვდა თუ არა ყველამ აცხონა“. ზუსტად ასე ვიცით ჩვენ. მოვლილი მაქვს მსოფლიო და ყველა ქვეყანაში თავის ბუმბერაზ ხელოვანებსა თუ შემოქმედებს უდიდეს პატივს სცემენ, ჩვენ რა დაგვემართა? უცხოეთში ემოციებს არ იშურებენ, თუ მოეწონე, ალალად დაგაფასებენ და მუხლს მოიდრეკენ შენ წინაშე, ჩვენთან კი მარტო ზემოდან ყურება ვიცით. ეს თვისება რომ არ გვქონდეს ქართველებს, ვერავინ გვაჯობებდა.

– თქვენ პირველი კომპოზიტორი ხართ, რომელიც გალაკტიონს შეეხო. არ შეგეშინდათ?

– როცა გავბედე და შევეხე, მივიღე კიდეც საყვედური. მწერალთა კავშირმა სასამართლო მომიწყო, იყო მთელი სამდივნო, მთელი მწერლობა, ახლა არ მინდა მათი დასახელება, მერე ჩემი მეგობრები გახდნენ, თავს მიხრიან და თურმე ჩემზე დიდებული არავინ ყოფილა. მათი ჩაწერა იყო საშინელება. მაშინ ცენზი იყო, ადვილად არაფერი კეთდებოდა. უკვე გაორკესტრებული რომ მივიტანე ჩასაწერად, ხელმძღვანელი იყო შაფათავა, მოისმინა „მზეო მარიამ“, არც იცოდა ვისი ლექსი იყო, ასე მითხრა, ხომ არ გაგიჟებულხარ, მუსიკა კარგია, მაგრამ ლექსი რას ჰგავს, რა დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ აგიტყდაო. გალაკტიონ ტაბიძის ლექსია-მეთქი და მერე რა რომ გალაკტიონია, მოაშორე აქედან, არაფერი გამოვაო. დიდხანს მქონდა ეს ნაწარმოები შენახული და ბოლოს, როგორც იქნა, ფირფიტაზე შევიტანე. ფირმა „მელოდიას“ უნდა გამოეცა ჩემი პირველი ფირფიტა და იქ ჩავსვი მოტყუებით. მორის ფოცხიშვილის ლექსზე მქონდა სიმღერა „ნოსტალგია“ და გაგიჟდნენ, რა ნოსტალგია, ეს ხომ დაავადებაა, რომლისგანაც ადამიანი კვდებაო. მორისმა ეს ლექსი დაწერა ერთი კაცის წერილით შთაგონებულმა, რომელმაც მორისს გამოუგზავნა წერილი და ეს იყო აღსარება. რომ წაგვიკითხა, მოვკვდით ტირილით. მას სამშობლო, ოჯახი ენატრებოდა და სთხოვდა ყველას, სტალინს, ბერიას, რომ სამშობლოში დაებრუნებინათ. მას ფრანგი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ასაკოვანი იყო და მზად იყო მომკვდარიყო, ოღონდ თავის სამშობლოში დასაფლავებულიყო. იმ ღამეს რა დამაძინებდა, შემძრა ამ ისტორიამ, როგორც კი მოვედი, მაშინვე დავწერე მელოდია და დილას მორისს დავურეკე, „ნოსტალგია“ დაწერილია-მეთქი. ამ ლექსში არის ერთი ფრაზა, „მე ვარ გადაჭრილი ვენახი, ვაზი მზის სხივებზე ჯვარცმული, მეძახის ჩემი სამშობლო ნოსტალგია, ნოსტალგია, ნოსტალგია!“ რუსები გადაირივნენ, რა არის ეს ნოსტალგია, ამდენჯერ რომ მეორდებაო. ვუთხარი, ქართველი კაცი ვარ, ორი თვეა ვზივარ მოსკოვში, მენატრება მთაწმინდა, ოჯახი და ეს არის ჩემთვის ნოსტალგია-მეთქი. რა უცნაურები ხართ ეს ქართველებიო და ასე მოტყუებით მოხვდა ეს სიმღერა ფირფიტაზე, სამაგიეროდ, მერე კაგებეში გვათრიეს, იმიტომ, რომ ეს ფირფიტა მილიონი ტირაჟით გამოვიდა, გავრცელდა და მერეღა მიხვდნენ რუსები ნამდვილ მიზეზს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ალბათ ვირის აბანოში მოგვაყუჩებდნენ, მაგრამ გვიშველა იმან, რომ ეს გამოცემული იყო საკავშირო ფირმა „მელოდიის“ მიერ.

– თქვენი ახალი ალბომი სად გამოიცა?

– კონსერვატორიასთან არის ხმის ჩამწერი სტუდია და იქ ჩავწერეთ სიმღერების ნაწილი, თუმცა ძველი ჩანაწერებიც გვაქვს შეტანილი, რომელიც ფირმა „მელოდიაში“ ჩაიწერა. იქ მუსიკალური რედაქტორი ვიყავი, საოცარი რამ იყო, მაგრამ დაინგრა და საერთოდ აღარ არსებობს. სიმღერების გარდა, მასში შეტანილია საფორტეპიანო კომპოზიციები, რომანსები, ბალადები და სიმღერები, რომლებსაც ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები ასრულებენ. ეს ალბომი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოვიდა და როცა მოვასმენინე, გაკვირვებულმა შემომხედა, ნიკორწმინდა რატომ არ გაქვს, ნიკორწმინდაზე იფიქრეო. გამიკვირდა, ნიკორწმინდა არის პოემა და როგორ უნდა ჩავატიო მუსიკალურ კომპოზიციაში-მეთქი? დამაფიქრა ამ ამბავმა, მაგრამ ვეძებე, ვეძებე და იმ ღამესვე დავწერე. საგალობლით, ლოცვით დავიწყე, წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ, მერე შედის სოლისტი, მერე გუნდი, ლექსის მთავარი სათქმელი ჩავსვით ტექსტში და ვისაც მოვასმენინე, ყველა კმაყოფილი დარჩა. მინდოდა ბოლოში გალაკტიონს თავად წაეკითხა ნიკორწმინდა, მაგრამ ჩანაწერი ვერ ვიპოვეთ, არ არსებობს და მთაწმინდის მთვარით დავასრულეთ. ძალიან მიყვარს ჩვენი პატრიარქი, მას არაერთი ნაწარმოები მივუძღვენი. მათ შორის: „დღეს ილია საქართველოს ლოცავს“, „ივერიის აღმაშენებელო“. ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, გიჟდება ჩემს თეთრ რაშზე, რომელსაც მგონია, რომ დღესაც ყავლი არ გასვლია. 25 წლის შემდეგ კვლავ დავწერე „ისევ მიქრის თეთრი რაში“. ამ ალბომში შესულია ასევე ჩემი ნაწარმოები, რომელიც ვუძღვენი გალაკტიონს და მას ჰქვია „ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“. დანარჩენი ყველაფერი გალაკტიონის ლექსებზეა შექმნილი.

– შემსრულებლებს როგორ არჩევთ?

– როცა ვწერ, უკვე ვიცი ვინ უნდა იმღეროს, მისი ხმა ყურში მესმის. კლასიკურს სხვა ტიპის მომღერალი სჭირდება, საესტრადოს სხვა. ნიკორწმინდა მინდოდა პაატა ბურჭულაძეს ემღერა, მაგრამ მირჩიეს, რომ პაატას დაბალი ტონალობა აქვს, ტენორი უფრო კარგად შეასრულებსო და მართლაც ბორის ბედიამ არაჩვეულებრივად იმღერა.

– ბატონო ჯუბა, ქართული ესტრადის პატრიარქს გიწოდებენ. ეს რას ნიშნავს თქვენთვის?

– ეს ჩემთვის დიდი პატივია. თუკი ქართველი საზოგადოება თვლის, რომ ქართული ხელოვნებისთვის რაიმე ღირებული შევქმენი, საოცრად ბედნიერი ვარ.

– როდის გეგმავთ ახალი ალბომის პრეზენტაციას?

– უფრო გაზაფხულზე ვფიქრობ ამ ალბომის წარდგენა მოვაწყო. დიდი ტკივილი განვიცადე, მაგრამ მაინც მივუჯექი როიალს და ვიმუშავე. გამოფენასაც მთხოვენ, ბოლო პერიოდში გაიხსენეს ჩემი სამსახიობო მოღვაწეობა და რამდენიმე ფილმში გადამიღეს, კიდევ რამდენიმე ფილმის გადაღებაა დაგეგმილი. ჩემი პირველი პროფესია თეატრის და კინოს მსახიობობაა. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მარჯანიშვილის თეატრში მოვხვდი და საოცარი თაობა დამხვდა. ამ ხალხთან ურთიერთობა გამომადგა როგორც მწერლობაში, ასევე მხატვრობაში, მუსიკაში და თეატრსა თუ კინოში.

– მსახიობობას რატომ დაანებეთ თავი?

– 37 წელი თეატრში ვიყავი და ვმუშაობდი. მარჯანიშვილის თეატრიდან გადამიყვანეს მოზარდმაყურებელთა თეატრში, პარალელურად, მუსიკაშიც ვმუშაობდი, ამიტომ ხელშეწყობა მჭირდებოდა. ზაფხულობით სოხუმში გვქონდა დასასვენებელი სახლი და ვისვენებდით ხოლმე. იქ ერთ რუს ქალბატონს მოეწონა ჩემი შემოქმედება და მიმიწვია სასწავლებლად რუსეთში, მართლაც ჩავდიოდი წელიწადში რამდენჯერმე და იქაც დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, თუმცა თეატრისთვის თავი არასოდეს დამინებებია. ბოლოს მოხდა ისე, რომ სოხუმში ქართული თეატრი გამოდევნეს იმ შენობიდან, რომელიც ჩემმა სიმამრმა ააშენა. ორი დასი მოღვაწეობდა ერთ თეატრში. მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის სტუდენტი, რობიკო სტურუას სკოლაც გავიარე ნაწილობრივ. იური კაკულიამ მითხრა, მჭირდები და ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეო. მეუღლე უკვე მყავდა სოხუმელი, დამიბარეს კულტურის სამინისტროში და გადაწყდა ჩემი იქ წასვლა. ერთი წლით წასვლა გაგრძელდა მთელი 14 წელი. ძალიან კარგი სპექტაკლები იდგმებოდა და პატარა აგური მეც დავდე ქართული თეატრის მშენებლობაში. რომ ჩამოვედი თბილისში, თეატრში აღარ დავბრუნებულვარ, სრულად ჩამოვშორდი, იყო მიწვევა რუსთაველის თეატრშიც, მაგრამ მერე უკვე მუსიკასა და ფერწერაში გადავერთე.

– ხატვა როდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში?

– ბავშვობიდან ვხატავდი, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არასდროს მიმიქცევია. რასაც დავხატავდი, სხვენში ამქონდა და ვყრიდი. ყველაფერი ჩემი მეუღლის დამსახურებაა, მან მაქსიმალურად შემიწყო ხელი, რომ სერიოზულად მემუშავა. სტაჟირებაც გავიარე სტუდიაში და სერიოზულად მოვეკიდე ამ საქმეს.

– მუსიკას როდის წერთ, როცა ძალიან გტკივათ?

– შეიძლება უცბად გააკეთო რაღაც, შეიძლება წლები დაგჭირდეს. ქვეცნობიერად რაღაც რომ გაწუხებს, იმას უცებ დაწერ. „ნიკორწმინდა“ რომ ჩავიფიქრე, უცებ დავწერე.

– ლექსებს?

– ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. ყველა ქართველი თითო-ოროლა ლექსს წერს, ამიტომ დიდად არ ვიკლავდი თავს, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა არ დამანებეს და მომცეს სტიმული. ხან ჟურნალში დაიბეჭდა, ხან გაზეთში და ასე გამოიცა ჩემი ლექსების კრებულები. საბოლოოდ გამოვიდა, რომ ხელოვნების რამდენიმე მიმართულებას ვემსახურები. ყველა კავშირის წევრი ვარ – კომპოზიტორთა, მხატვართა, მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირისაც. ღმერთის მადლიერი ვარ, რომ მყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, რომელიც მხარში მედგა და ყველაფერი გაკეთა იმისთვის, რომ მხოლოდ ჩემი საქმე მეკეთებინა. რთულია ხელოვანის ცოლობა, ვენაცვალე მის ხსოვნას!

– თქვენ ისევ გამოჩნდით ფილმებში. „უღმერთოთა ღამე“ მაყურებელმა უკვე ნახა, კიდევ სად გიხილავთ?

– საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიამ გადაიღო „უღმერთოთა ღამე“ დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი, რომლის რეჟისორიცაა ლევან ახობაძე, სადაც მეუფე ნაზარი ლეჟავას ვთამაშობ. მეორე ფილმიც უკვე დასრულებულია, პარიზშიც ვიყავით, დიმიტრი ამილახვარზეა ფილმი. სარკოზი რომ იყო ჩამოსული, მან თქვა, ჩამოვედი იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი საფრანგეთის ყველაზე დიდებული და წარჩინებული გმირიაო, ეს იყო დიმიტრი ამილახვარი, ლეგიონერი, რომელმაც შესწირა თავი იმ ქვეყანას, საოცარი მუზეუმია იქ. დე გოლმა მას საფრანგეთის ღირსება უწოდა. გადაღებები დავიწყეთ პარიზით და დავამთავრეთ გორით, საიდანაც წარმოშობით ამილახვრები ყოფილან. ეს დოკუმენტური ფილმია და მისი რეჟისორია თემურ კვირკველია. მასში მთხრობელი ვარ. ლეონტი მროველზე მხატვრულ ფილმს იღებს ამირან ამირანაშვილი და თითქმის მთავრდება. ასევე ჩაფიქრებულია საშობაო ამბავი, რომელიც ვაჟა-ფშაველას მიხედვით დაიდგმება. ამ ფილმშიც ვთამაშობ მოხუცს, რომელიც მერე ირკვევა, რომ ღმერთი ყოფილა. რეჟისორები არიან ივა ფეზუაშვილი და თაზო ნარიმანიძე. ბოლო ორი ფილმი „ჯიდიეს ტივის“ ბაზაზე კეთდება. მოკლედ, სულ წვერებში ვარ, სულ მოხუცი და სულ ეპისკოპოსებს და მეუფეებს ვთამაშობ.

ყველაზე ცხელი წერტილი იტალიაშია

ინგლისი

09.02	ტოტენჰემი-ნიუკასლი	1.67	3.75	5.0
09.02	ნორვიჩი-ფულემი	2.25	3.3	3.2
09.02	ჩელსი-უიგანი	1.36	5.0	8.0
09.02	სუონსი-ქპრ	1.8	3.5	4.6
09.02	სანდერლენდი-არსენალი	4.2	3.6	1.83
09.02	სტოკი-რედინგი	1.83	3.5	4.33
09.02	საუთჰემპტონი-სიტი	5.0	4.0	1.61
10.02	ასტონ ვილა-ვესტ ჰემი	2.6	3.3	2.7
10.02	მანჩესტერი-ევერტონი	1.73	4.0	4.22
11.02	ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი	1.4	4.5	8.0

ტოტენჰემი-ნიუკასლი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-ჰადლსტოუნი, ქაბული, სანდრო

ნიუკასლი: *ტრავმ*-ბენ არფა, ტეილორი, ვუჩკიჩი

ნორვიჩი-ფულემი

ნორვიჩი: *ტრავმ*-რადი

ფულემი: *ტრავმ*-რიჩარდსონი, ფრეი, დევისი, დიარა

ჩელსი-უიგანი

ჩელსი: *ტრავმ*-ჩეხი, ლუიზი, რომეუ

უიგანი: *ტრავმ*-პოლიტი, რამისი, ხრუსატი, პისჩუ, უოტსონი, მაიაჩი

სუონსი-ქპრ

სუონსი: *ტრავმ*-აგუსტიენი, ნ.ტეილორი

ქპრ: *ტრავმ*-ბოსინგვა, სამბა, ა.ჯონსონი

სანდერლენდი-არსენალი

სანდერლენდი: *ტრავმ*-ბრაუნი

არსენალი: *ტრავმ*-არავინ

სტოკი-რედინგი

სტოკი: *ტრავმ*-უილსონი

რედინგი: *ტრავმ*-რობერტსი, მაკარტი

საუთჰემპტონი-სიტი

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-ჟული, ფონტე

სიტი: *ტრავმ*-კომპანი, მაიკონი, რიჩარდსი

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი

ასტონ ვილა: *ტრავმ*-ოლბრაიტონი, დანი, ჰერდი, გარდნერი

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-პოტსი, მაკარტნი, კოლინსი, რეიდი

მანჩესტერი-ევერტონი

მანჩესტერი: *ტრავმ*-ფლეტჩერი

ევერტონი: *ტრავმ*-ჰიბერტი, კოულმენი

ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი

ლივერპული: *ტრავმ*-კელი, ფლანაგანი

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-გერა

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	25	20	2	3	60:31	62
2.სიტი	25	15	8	2	47:21	53
3.ჩელსი	25	13	7	5	51:27	46
4.ტოტენჰემი	25	13	6	6	42:29	45
5.ევერტონი	25	10	12	3	40:30	42
6.არსენალი	25	11	8	6	49:29	41
7.ლივერპული	25	9	9	7	44:32	36
8.სუონსი	25	8	10	7	34:28	34
9.ვესტ ბრომვიჩი	25	10	4	11	34:35	34
10.სტოკი	25	6	12	7	24:30	30
11.ვესტ ჰემი	25	8	6	11	28:36	30
12.სანდერლენდი	25	7	8	10	28:33	29
13.ფულემი	25	7	7	11	36:42	28
14.ნორვიჩი	25	6	10	9	25:40	28
15.ნიუკასლი	25	7	6	12	33:44	27
16.საუთჰემპტონი	25	5	9	11	33:44	24
17.რედინგი	25	5	8	12	32:46	23
18.ასტონ ვილა	25	4	9	12	23:49	21
19.უიგანი	25	5	6	14	29:47	21
20.ქპრ	25	2	11	12	18:37	17

ესპანეთი

09.02	მალიორკა-ოსასუნა	2.1	3.4	3.4
09.02	სელტა-ვალენსია	2.7	3.25	2.6
09.02	ლევანტე-მალაგა	2.6	3.25	2.7
09.02	დეპორტივო-გრანადა	2.05	3.4	3.6
09.02	რეალი-სევილია	1.33	5.0	9.0
10.02	ბარსელონა-ხეტაფე	1.09	10.0	21.0
10.02	სარაგოსა-სოსიედადი	2.4	3.3	2.9
10.02	ბილბაო-ესპანიოლი	1.75	3.8	4.33
10.02	რაიო-ატლეტიკო	3.4	3.4	2.1
11.02	ბეტისი-ვალიადოლიდი	1.91	3.4	4.0

მალიორკა-ოსასუნა

მალიორკა: *ტრავმ*-აოუატე, ვიქტორი

ოსასუნა: *ტრავმ*-ტიმორი, რიესგო, სისი

სელტა-ვალენსია

სელტა: *ტრავმ*-ტუნიესი, მალიო, ლორკა

ვალენსია: *ტრავმ*-სოლდადო, პარეხო, მატიე

ლევანტე-მალაგა

ლევანტე: *ტრავმ*-არავინ

მალაგა: *ტრავმ*-ბაპტიშტა

დეპორტივო-გრანადა

დეპორტივო: *ტრავმ*-ევალდო, მარჩენა, ლაურე

გრანადა: *ტრავმ*-ჰურტადო, ბენიტესი, რიკო

რეალი-სევილია

რეალი: *ტრავმ*-კასილიასი, პეპე

სევილია: *ტრავმ*-პეროტი, ტროხოვსკი

ბარსელონა-ხეტაფე

ბარსელონა: *ტრავმ*-არავინ

ხეტაფე: *ტრავმ*-ლაფიტა, მანე, ლეონი

სარაგოსა-სოსიედადი

სარაგოსა: *ტრავმ*-ხავი, ლოვრენსი, ობრადოვიჩი

სოსიედადი: *ტრავმ*-მიკელი, ზურუტუზა, ანსოტეგი

ბილბაო-ესპანიოლი

ბილბაო: *ტრავმ*-ი.პერესი, რუისი

ესპანიოლი: *ტრავმ*-გალანი, ალვარესი

რაიო-ატლეტიკო

რაიო: *ტრავმ*-ბაპტიშტაუ, მარტინესი, ლაბაკა, როდრი

ატლეტიკო: *ტრავმ*-ფალკაო

ბეტისი-ვალიადოლიდი

ბეტისი: *ტრავმ*-ლოპესი, მარიო, ვილარჩაო, პოსუელო, მარტინესი, კარლოსი

ვალიადოლიდი: *ტრავმ*-ებერტი, ვ.პერესი

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	22	19	2	1	72:25	59
2.ატლეტიკო	22	16	2	4	43:21	50
3.რეალი	22	13	4	5	54:21	43
4.მალაგა	22	10	6	6	34:20	36
5.ბეტისი	22	11	2	9	31:34	35
6.ვალენსია	22	10	4	8	31:35	34
7.რაიო	22	11	1	10	31:38	34
8.სოსიედადი	22	9	6	7	35:28	33
9.ლევანტე	22	10	3	9	28:33	33
10.ვალიადოლიდი	22	8	5	9	32:29	29
11.სევილია	22	8	5	9	29:30	29
12.ხეტაფე	22	8	5	9	30:34	29
13.ბილბაო	22	7	5	10	29:41	26
14.ესპანიოლი	22	6	7	9	26:34	25
15.სარაგოსა	22	7	3	12	21:31	24
16.გრანადა	22	6	5	11	19:32	23
17.ოსასუნა	22	5	6	11	18:26	21
18.სელტა	22	5	5	12	21:27	20
19.მალიორკა	22	4	5	13	22:42	17
20.დეპორტივო	22	3	7	12	27:48	16

იტალია

09.02	იუვენტუსი-ფიორენტინა	1.61	3.8	5.5
09.02	ლაციო-ნაპოლი	2.87	3.4	2.37
10.02	პარმა-ჯენოა	1.8	3.5	4.5
10.02	კალიარი-მილანი	5.0	3.75	1.76
10.02	ბოლონია-სიენა	1.91	3.4	4.0
10.02	სამპდორია-რომა	3.25	3.4	2.15
10.02	ატალანტა-კატანია	2.2	3.25	3.3
10.02	უდინეზე-ტორინო	2.05	3.4	3.6
10.02	პალერმო-პესკარა	1.57	3.8	6.0
10.02	ინტერი-კიევო	1.57	3.8	6.0

იუვენტუსი-ფიოიორენტინა

იუვენტუსი: *ტრავმ*-კიელინი, პეპე, ბენდტნერი, მარკიზიო

ფიორენტინა: *ტრავმ*-როსი, ჰეგაზი

ლაციო-ნაპოლი

ლაციო: *ტრავმ*-ედერსონი, ერნანესი

ნაპოლი: *ტრავმ*-მავჯო

პარმა-ჯენოა

პარმა: *ტრავმ*-გალოპა, სანტაკროჩე

ჯენოა: *ტრავმ*-იანკოვიჩი, ვარგასი, ფლორო ფლორესი

კალიარი-მილანი

კალიარი: *ტრავმ*-არიაუდო, ნენე

მილანი: *ტრავმ*-დიდაკი, დე იონგი, ამბროზინი

ბოლონია-სიენა

ბოლონია: *ტრავმ*-გაბიადინი, ნატალი

სიენა: *ტრავმ*-პოცი

სამპდორია-რომა

სამპდორია: *ტრავმ*-ხუან ანტონიო

რომა: *ტრავმ*-ბალძარეტი, დესტრო, დე როსი

ატალანტა-კატანია

ატალანტა: *ტრავმ*-კაპელი, ბელინი, მარილუნგო, ლუკინი, ფერი

კატანია: *ტრავმ*-შაკა, ალმირონი

უდინეზე-ტორინო

უდინეზე: *ტრავმ*-ფაბრინი, ბრკიჩი

ტორინო: *ტრავმ*-ოგბონა, დიოპი

პალერმო-პესკარა

პალერმო: *ტრავმ*-ერნანდესი, მანტოვანი

პესკარა: *ტრავმ*-არავინ

ინტერი-კიევო

ინტერი: *ტრავმ*-კასტელაცი, სამუელი, მილიტო, სტანკოვიჩი, მუდინგაი, კივუ

კიევო: *ტრავმ*-სარდო, დრამე, ლუსიანო, პელისიე, ფრეი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	23	16	4	3	48:16	52
2.ნაპოლი	23	15	4	4	45:20	49
3.ლაციო	23	13	4	6	34:25	43
4.მილანი	23	12	4	7	41:29	40
5.ინტერი	23	12	4	7	36:28	40
6.ფიორენტინა	23	11	6	6	41:27	39
7.კატანია	23	10	5	8	31:30	35
8.რომა	23	10	4	9	49:42	34
9.უდინეზე	23	8	9	6	34:33	33
10.პარმა	23	8	7	8	30:31	31
11.ტორინო	23	6	11	6	27:26	28
12.კიევო	23	8	4	11	24:36	28
13.ატალანტა	23	8	4	11	21:33	26
14.ბოლონია	23	7	4	12	32:33	25
15.სამპდორია	23	7	5	11	28:29	25
16.კალიარი	23	6	6	11	25:40	24
17.ჯენოა	23	5	6	12	25:37	21
18.პესკარა	23	6	2	15	19:48	20
19.პალერმო	23	3	8	12	20:37	16
20.სიენა	23	6	5	12	23:33	17

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია

09.02	დორტმუნდი-ჰამბურგი	1.25	6.0	10.0
09.02	ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი	2.1	3.5	3.3
09.02	ფიურტი-ვოლფსბურგი	2.87	3.3	2.4
09.02	აინტრახტი-ნიურნბერგი	1.91	3.6	3.75
09.02	გლადბახი-ლევერკუზენი	3.2	3.4	2.2
09.02	შტუტგარტი-ვერდერი	2.25	3.5	3.0
09.02	ბაიერნი-შალკე	1.28	5.5	9.0
10.02	აუგსბურგი-მაინცი	2.62	3.25	2.62
10.02	ფრაიბურგი-ფორტუნა	1.6	3.75	5.8

დორტმუნდი-ჰამბურგი

დორტმუნდი: *ტრავმ*-ალომეროვიჩი, ოვომოიელა, სუბოტიჩი, ამინი, დუკში

ჰამბურგი: *ტრავმ*-ნეუჰაუსი, მანსინენე, შარნერი, სოვა, შტერნბერგი, ინგრესო, კაჩარი, ნორგაარდი, სალა, შტეინმანი

ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი

ჰანოვერი: *ტრავმ*-რადლინგერი, ჩერუნდოლო, ეგიმანი, ფელიპე, შულცი, შულცე, ანდრეასენი, აიჩიჩეკი, გიესელმანი, შუნემანი, შტინდლი

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ*-გრალი, ვიზე, კრისი, კონრადი, იაისლე, შრიოკი, ტესკერი, ლუდვიგი, რუდი, სალიჰოვიჩი, სასი, შიონი, ვუკჩევიჩი, ვისერი, გრეგორიჩი, ჰერდლინგი, ჟოსელუ, შიპლოკი

ფიურტი-ვოლფსბურგი

ფიურტი: *ტრავმ*-ნდოიე, გეისი, ჰეფელე, პრიბი, ტირალა, ოჰანდა, ონუეგბუ

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-დრეუესი, კირგიაკოსი, არნოლდი, ჰასანი, კლიხი, პანევიცი, პილარი, ჰელმესი

აინტრახტი-ნიურნბერგი

აინტრახტი: *ტრავმ*-ოზერი, ამედიკი, დუდა, ჰიენი, კემპფი, ვილე, შტენდერა

ნიურნბერგი: *ტრავმ*-შტეფანი, მარკოს ანტონიო, პლატენჰარდტი, შტარკი, ბრაუნ ფორბსი, ჰლოუშეკი

გლადბახი-ლევერკუზენი

გლადბახი: *ტრავმ*-ბლაშვიხი, მიჩელი

ლევერკუზენი: *ტრავმ*-ლომბი, ბელარაბი, პუსჩი

შტუტგარტი-ვერდერი

შტუტგარტი: *ტრავმ*-უდელი, ბა, კუზმანოვიჩი, კაკაუ, ჰემლეინი

ვერდერი: *ტრავმ*-ვანდერი, ვოლფი, რიოკერი, აიჩიჩეკი, ბარგფრედე, კროოსი, ა.სტევანოვიჩი, პ.სტევანოვიჩი, ტრინკსი, ტრიბული, ფულკრუგი, ვურცი

ბაიერნი-შალკე

ბაიერნი: *ტრავმ*-რაედერი, რიედმიულერი, ბადშტუბერი, რაფინია, შაქირი

შალკე: *ტრავმ*-პაპადოპულოსი, აფელაი, კლინგენბურგი, მორიცი, პლიაციკასი, მარიკა, ობასი

აუგსბურგი-მაინცი

აუგსბურგი: *ტრავმ*-გელიოსი, იენცში, ლანგკამპი, რეინჰარდტი, ვერჰაეგი, ნებელი, ოტლი, პეტრჟელა, ტიედე

მაინცი: *ტრავმ*-კარიუსი, ბუნგერტი, შლიკი, ჩუპო-მოტინგი, სლიშკოვიჩი

ფრაიბურგი-ფორტუნა

ფრაიბურგი: *ტრავმ*-მუიძა, ბოუზიანე, ფრეისი

ფორტუნა: *ტრავმ*-პაპადოპულოსი, ბრუნო სუარეში, ლანგენეკე, რამირესი, ბოლი, ჩა, ერატი, გარბუშევსკი, აიდინი, რაფაელი, ვორონინი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	20	16	3	1	51:7	51
2.დორტმუნდი	20	11	6	3	46:22	39
3.ლევერკუზენი	20	11	4	5	38:26	37
4.აინტრახტი	20	11	3	6	38:31	36
5.მაინცი	20	9	3	8	27:24	30
6.შალკე	20	8	5	7	33:31	29
7.გლადბახი	20	7	8	5	28:29	29
8.ფრაიბურგი	20	7	7	6	25:20	28
9.ჰამბურგი	20	8	4	8	22:26	28
10.ჰანოვერი	20	8	2	10	38:39	26
11.ვერდერი	20	7	4	9	32:37	25
12.შტუტგარტი	20	7	4	9	22:35	25
13.ფორტუნა	20	6	6	8	26:28	24
14.ნიურნბერგი	20	6	6	8	20:27	24
15.ვოლფსბურგი	20	6	5	9	21:30	23
16.ჰოფენჰაიმი	20	4	4	12	26:44	16
17.აუგსბურგი	20	2	8	10	16:32	14
18.ფიურტი	20	2	6	12	13:34	12

საფრანგეთი

09.02	სენტ ეტიენი-მონპელიე	2.1	3.2	3.6
09.02	აიაჩო-ბორდო	3.1	3.1	2.37
09.02	ნანსი-რეიმსი	1.95	3.1	4.0
09.02	ტრუა-სოშო	1.95	3.2	4.2
09.02	ვალანსიენი-ბრესტი	1.67	3.75	5.0
09.02	ნიცა-ლორიენი	2.05	3.2	3.75
10.02	ევიანი-მარსელი	3.6	3.3	2.05
10.02	რენი-ტულუზა	2.0	3.3	3.75
10.02	ლიონი-ლილი	2.0	3.3	3.75

სენტ ეტიენი-მონპელიე

სენტ ეტიენი: *ტრავმ*-რომაინ ჰამუმა, მაქს გრადელი, დანიელ ალეკსიჩი, ალეხანდრო ალონსო, ისმაელ დიომანდე

მონპელიე: *ტრავმ*-მარკო ესტრადა, იუნის ბელანდა, ბენჯამინ სტამბული, ჯამელ საიჰი, იორის მავრო, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

აიაჩო-ბორდო

აიაჩო: *ტრავმ*-ფუსენი დიავარა, კარლ მეჯანი, სიგამარი დიავარა, მეჰდი მოსტეფა, რიკარდო ფატი, დავიდ ობერჰაუზერი

ბორდო: *ტრავმ*-მარკ პლანუსი, ნიკოლას მორის-ბელაი, ჯუსიე, აბდუ ტრაორე

ნანსი-ხეიმსი

ნანსი: *ტრავმ*-არავინ

რეიმსი: *ტრავმ*-ფლოიდ აიიტე, კოსი აგასა, გაეტან კურტე

ტრუა-სოშო

ტრუა: *ტრავმ*-მოჰამედ იატარა, სებასტიენ გრო

სოშო: *ტრავმ*-კალილუ ტრაორე, პიერიკ კროსი, ტიერი დუბაი

ვალანსიენი-ბრესტი

ვალანსიენი: *ტრავმ*-კარლოს სანჩესი, გრეგოლი პუიოლი, გაელ დანიჩი

ბრესტი: *ტრავმ*-ბენუა ლესიმერი, ისმაილ ტრაორე, ოსმან კულიბალი, აჰმედ კანტარი, ჯონათან აიიტე, ქამელ ჩაფნი, პოლ ბაისე, ადამა ბა

ნიცა-ლორიენი

ნიცა: *ტრავმ*-ლოიდ პალუნი, მაჰამანე ტრაორე, ფაბიენ დაო კასტელანა, დიაჩკო ფოფანა

ლორიენი: *ტრავმ*-ალაიქის რომაო, ბენჯამინ კორნე, ალაინ ტრაორე, არნო ლე ლანი

ევიანი-მარსელი

ევიანი: *ტრავმ*-საბერ ჰელიფა, მოჰამედ რაბუი, ჯაკარიდა კონე, ბრაის ჯია ჯეჯეი, ჯონათან მენსა, ალი მადი

მარსელი: *ტრავმ*-ჩარლზ კაბორი

რენი-ტულუზა

რენი: *ტრავმ*-ონეოკაჩი აპამი, ჯონათან პიტროიპა, ჯონ ბოიე, ვიქტორ მონტანო

ტულუზა: *ტრავმ*-არავინ

ლიონი-ლილი

ლიონი: *ტრავმ*-ჯიმი ბრიანდი

ლილი: *ტრავმ*-რაიან მენდესი, სალომონ კალუ, ტულიო დე მელო

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	23	14	6	3	42:12	48
2.ლიონი	23	13	6	4	38:21	45
3.მარსელი	23	13	3	7	30:28	42
4.ბორდო	23	9	11	3	26:15	38
5.ნიცა	23	10	8	5	35:27	38
6.სენტ ეტიენი	23	10	7	6	32:17	37
7.რენი	23	11	4	8	35:30	37
8.მონპელიე	23	10	5	8	38:28	35
9.ლორიანი	23	9	8	6	38:37	35
10.ტულუზა	23	8	7	8	30:28	31
11.ლილი	23	7	10	6	26:24	31
12.ვალანსიენი	23	8	6	9	32:34	30
13.ბასტია	23	7	5	11	28:47	26
14.აიაჩო	23	6	9	8	26:32	25
15.ბრესტი	23	7	3	13	23:33	24
16.სოშო	23	6	4	13	22:34	22
17.ევიანი	23	5	7	11	21:35	22
18.რეიმსი	23	4	8	11	19:27	20
19.ნანსი	23	3	9	11	21:38	18
20.ტრუა	23	3	8	12	26:44	17

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

სირიაში წესრიგი შესაძლოა რუსეთმა აღადგინოს

ის, რაც თუნდაც რამდენიმე დღის წინ ფრანგი პოლიტოლოგ ტერი მეისანის კონსპიროლოგიურ ფანტაზიად ჩანდა, მოულოდნელ დადასტურებას იღებს: იმ შემთხვევაში, თუკი ლავროვ-ბერნსის გეგმის მიხედვით, გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთი წამოსწევს რეზოლუციას სირიაში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ოდეკებე) ჯარების შეყვანის შესახებ, აშშ არ გამოიყენებს ვეტოს უფლებას ამ რეზოლუციის დასაბლოკად, შეატყობინეს აშშ-ის გენერალურ საკონსულოს.

„აშშ-ის პოზიცია ეფუძნება იმას, რომ სირიაში რაც შეიძლება მალე დამთავრდეს სისხლისღვრა, ამიტომ თუკი ვინმე გამოვა იქ სამშვიდობო ჯარის შეყვანის ინიციატივით, აშშ ვეტოს უფლებას არ გამოიყენებს. „ოდკბ“, ისევე, როგორც ნატო, შეტანილია გაეროს მშვიდობისმყოფელთა ნუსხაში, ამიტომ ჩვენ ვერ ვხედავთ მიზეზს, რის გამოც „ოდკბ-ს“ ჯარების შეყვანა სირიაში არ უნდა განხორციელდს გაეროს ეგიდით“, – განაცხადა აშშ-ის საელჩომ.

„ოდკბ-ს“ ჯარების სირიაში შეყვანის გეგმის შესაძლებლობას ადასტურებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროებიც.

შეგახსენებთ, რომ დამასკოსთან მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს. თვითმხილველების თქმით, ეს გაცილებით ინტენსიური შეტაკებებია უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში. ადგილობრივი მცხოვრებლები ყვებიან, რომ მთელს ქალაქში ისმის ძლიერი სროლები. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, სირიის არმიამ, შესაძლოა, დიდი შეტევა დაიწყო.

რიგი რაიონები დამასკოს შემოგარენში, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მეამბოხეების მიერ იყო დაკავებული. ორი დღის წინ, სირიის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, მოაზ ალ-ჰატიბმა განაცხადა, რომ მზადაა სირიის ვიცე-პრეზიდენტთან, ფარუკ შარაასთან მოლაპარაკებები გამართოს, თუ ქვეყნის პირველი პირის შეცვლაზე საუბარი დაიწყება. უფრო ადრე კი, სირიელმა ოპოზიციონერმა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების მზადყოფნა გამოთქვა, თუ დაიწყებოდა საუბარი 160 ათასი სირიელი პატიმრის გათავისუფლების შესახებ.

ჩინეთში მარტოხელა გოგონებს „ბოიფრენდებს გაქირავებით“ სთავაზობენ

ჩინეთში უჩვეულოდ მიუდგნენ ახალგაზრდებისთვის „მეორე ნახევრის“ პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც ჩინური ახალი წლის (9-10 თებერვლის ღამე) აღნიშვნის წინ განსაკუთრებით მწვავდება. როგორც ბი-ბი-სის რუსული სამსახური გვატყობინებს, ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა ინტერნეტ-ბაზარმა „ტაობაომ“, ბოიფრენდის არმქონე გოგონებს, მათი „გაქირავებით“ აყვანის მომსახურება შესთავაზა.

ასეთი იჯარა, საშუალოდ დღე-ღამეში სულ 50 დოლარს შეადგენს. ზოგიერთ მომსახურებაზე ცალკე პრეისკურანტია. მაგალითად, ერთობლივი ვახშამი საათში 5 დოლარი დაჯდება, ხოლო ლოყაზე კოცნა – ცხრა დოლარი.

თუ ფიქტიურმა ბოიფრენდმა მთელი საახალწლო საღამო კლიენტის ოჯახთან უნდა გაატაროს, მაშინ ის იღებს ღამეში 80 დოლარს, ცალკე საწოლში და 95-ს სავარძელზე გათენებისთვის. ამასთან, შეთავაზებული მომსახურების ჩამონათვალში სექსი არ შედის.

ერთ-ერთმა „დაქირავებულმა“ ბოიფრენდმა ჟურნალისტებთან აღიარა, რომ „გამოძახებით თანამგზავრად“ გახდომა, ფულის გამო გადაწყვიტა, ცნობისმოყვარეობაც ერთ-ერთი მთავარი მოტივია. „ეს ხომ საინტერესოა, უცბად ვნახავ გოგონას, რომელიც ჩემს ინტერესებს გაიზიარებს და ჩვენ ორივე ბედნიერები ვიქნებით“, – ამბობს ის.

ჩინეთში ასევე მამაკაცებიც ქირაობენ ფსევდომეგობრებს, მაგრამ გაცნობის საიტის კონსულტანტი, ჩუოუ სიაოპინი ამბობს, რომ რეალურად ქალები დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. ამიტომაც, მამაკაცებზე უფრო დიდი მოთხოვნაა.

სიტუაციის შეცვლა მხოლოდ დროს შეუძლია. როდესაც 80, 90-იანებში დაბადებული ადამიანები თავად გახდებიან მშობლები, მათ ალბათ, აღარ მოესურვებათ საკუთარი შვილები ასეთი ზეწოლის ქვეშ ამყოფონ. მაგრამ ამისთვის ათწლეულები იქნება საჭირო. ეს კი ნიშნავს, რომ ჩინეთში ესკორტ-მომსახურება კიდევ დიდხანს იარსებებს.

დედამიწას ასტეროიდი უახლოვდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რომელიც დედამიწას ასეთ სიახლოვეს ჩაუქროლებს.

15 თებერვალს მეტეორიტი პლანეტას და ხელოვნურ თანამგზავრებს შორის ჩაიქროლებს, იტყობინება ნასას საიტი. მისი ტრაექტორია ნაწინასწარმეტყველებია და არც პლანეტას და არც კოსმოსურ ხომალდებს არ ემუქრება.

სიახლოვის და ზომის წყალობით, ასტეროიდის დანახვა სამოყვარულო ტელესკოპიდან იქნება შესაძლებელი. კარგ ამინდში მას დაინახავენ ევროპის ზოგიერთ რაიონში, ასევე აზიასა და აფრიკაში.

თავისი მახასიათებლებით ასტეროიდი „2012 და14“ გვახსენებს ტუნგუსკის მეტეორიტს, რომელიც ციმბირში 1908 წელს ჩამოვარდა. ის ასტეროიდი სიფართეში მხოლოდ 40 მეტრი იყო, მაგრამ მისი შეჯახების შედეგად, კრასნოიარსკის მხარეში, 1200 კვადრატულ კილომეტრზე ხეები განადგურდა. მსგავსი ციური სხეული შესაძლოა დინოზავრების გაქრობის მიზეზი გამხდარიყო.

ამასობაში, „2012 და14-ის“ მოახლოება ასტრონომებში უდიდეს ინტერესს იწვევს. ნასას ექსპერტების შეფასებით, მსგავს ასტეროიდთან შეხვედრა 40 წელიწადში ერთხელ, ხოლო შეჯახება 1200 წელიწადში ერთხელ ხდება.

ესპანეთის პრემიერის გადაყენების პეტიციას მილიონ ადამიანზე მეტმა მოაწერა ხელი

პეტიციას, რომელიც ესპანეთის პრემიერ-მინისტრ მარიანო რახოის გადადგომისაკენ მოუწოდებს, მილიონ ადამიანზე მეტმა მოაწერა ხელი.

როგორც აღნიშნავენ, დოკუმენტს ყოველმა 47-ე ესპანელმა მოაწერა ხელი. პრემიერის წინააღმდეგ კამპანია მას შემდეგ დაიწყო, რაც გამოქვეყნდა დოკუმენტები, სადაც პრემიერი და მისი პარტიის წევრები კორუფციაში არიან დადანაშაულებულნი.

პეტიცია პრემიერის დაუყოვნებლივ გადაყენებას და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

რახოი და მისი პარტიის წევრები ყველა ბრალდებას უარყოფენ.

მარიანო რახოი ბრეი (დ. 27 მარტი, 1955, სანტიაგო-დე-კომპოსტელა, ესპანეთი) ესპანეთის არჩეული პრემიერ-მინისტრი 2011 წლის 20 ნოემბრიდან. თანამდებობა დაიკავა 2011 წლის 21 დეკემბერს. ოპოზიციის ლიდერი 2004-2011 წლებში. 2004 წლიდან ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის წევრია.

1999-2004 წწ. რამდენჯერმე ფლობდა სხვადასხვა სამინისტროს მინისტრთა პორტფელებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

გია ნიჟარაძე: „საქართველოს ნაკრების თამასა მაღალია“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წელს ორ უცხოურ გუნდს ჩაანაცვლებს არგენტინისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებები. ამ გათამაშების დახმარებით მოხდება ჩვენსა და რუმინეთის ტურნირს შორის როტაცია.

– თქვენ ახსენეთ მარტყოფის სარაგბო ბაზაც. „ავჭალისა“ და „შევარდენის“ სტადიონების აშენებამდე ეს იყო საოცრად პრობლემური თემა, რომელიც დღესაც რჩება. ასევე ეროვნულ ნაკრებს სტადიონის პრობლემაც აქვს. რა ხდება ამ მხრივ?

– მართალი ბრძანდებით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ისე გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ზედიზედ სამჯერ, რომ ერთი საკუთარი სტადიონიც კი არ ჰქონია. ახლა, მადლობა ღმერთს, სახელმწიფომ ბოლო 4 წელიწადში გამოგვიყო მიწის ნაკვეთები, ხოლო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ დაიწყო ჩვენთვის სარაგბო ბაზების მშენებლობა. ამ მომენტისათვის ჩვენ გვაქვს „შევარდენისა“ და „ავჭალის“ სარაგბო ბაზა. თითქმის დამთავრებულია რუსთავის სარაგბო ბაზა, ნაწილობრივ – მარტყოფი. იმედია, დიდ დიღმში მშენებარე ბაზის დასრულებაც წელს მოესწრება. ქუთაისი უკვე დაწყებულია და ყველაზე დიდი ბაზა შენდება, ასევე მშენებლობა მიდის ფოთშიც. მალე დაიწყება ბათუმი, ფოთი და გორი. სულ პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე წელიწადში 23 ბაზის აშენებას. რაც შეეხება ნაკრების სტადიონს, თბილისში მხოლოდ 2 სტადიონია ისეთი, რომელზეც ნაკრებმა უნდა ითამაშოს: მიხეილ მესხის სახელობისა და ეროვნული სტადიონი. მესხი ეკუთვნის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც გვერდში დგომისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. საუბედუროდ, წელს ჩვენი კალენდარი თითქმის მთლიანად ემთხვევა მათ კალენდარს. 9 თებერვლისათვის მათ დაგვითმეს სტადიონი, თუმცა შემდეგი თარიღი, როცა ჩვენ მოგვეცემა საშუალება, ვითამაშოთ აღნიშნულ სტადიონზე, გახლავთ 23 ნოემბერს. რაც შეეხება ეროვნულ სტადიონს, რომელიც ეკუთვნის საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისს, 9 მარტს განახლდება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი და „დინამო“ საშინაო მატჩს ატარებს. ეს ნიშნავს იმას, რომ რაგბის ნაკრებმა საერთაშორისო მატჩი ესპანელების წინააღმდეგ „ავჭალის“ სტადიონზე უნდა ითამაშოს, სადაც მხოლოდ 2.000 მაყურებელი ეტევა. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს უნდა ჰქონდეს საკუთარი სტადიონი. მესმის, რომ რთული და ძვირია, მაგრამ ქვეყნისთვის უფრო უპრიანი იქნება, ფული, უაზრო, მრავალმილიონიანი ნაგებობის ნაცვლად, სპორტის განვითარებას მოხმარდეს.

– ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ კიდევ უფრო აქტუალური გახდა სახელმწიფოსა და სპორტული ფედერაციების ურთიერთობის თემა. გასაგებია, რომ არის სტადიონის პრობლემა. კიდევ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?

– უსინდისო უნდა ვიყო, რომ ქართული რაგბის წინაშე ამ ადამიანს დამსახურება დავუკარგო. მე ვახსენე საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, თუმცა, ყველამ იცის, რომ მის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას, ანუ ინვესტიცია, რაც უნდა ჩაიდოს სტადიონში, არის უზარმაზარი, ძვირი ინვესტიცია, მაგრამ ეს არის სტადიონი, რომელსაც გამოიყენებს სხვაც. ქვეყანაში დღეს, ზემოთ ნახსენები ორი სტადიონის გარდა, არის „ვისოლის“ მფლობელობაში მყოფი არენა ქუთაისში. არის რუსთავის სტადიონი, თუმცა ხელოვნური საფარის გამო ვერც ერთ ოფიციალურ შეხვედრას ვერ ჩავატარებთ. სულ ეგ არის ქვეყნის მთელი ინფრასტრუქტურა. აგრეთვე, ქვეყანაში არ არის არც ერთი ოლიმპიური ბაზა. ჩვენ წინა ხელისუფლებისგანაც გვქონდა დახმარება. ეს გამოიხატებოდა საქართველოში რაგბის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამით. აღნიშნული პროგრამა ახალ პრემიერთან შეხვედრის შემდეგ გაგრძელდა კიდევ 4 წლით. როგორც იცით, შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობა გახდა და დახმარება აუცილებლად იქნება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისგანაც. ისე კი, „დახმარებას“ უფრო სხვა სიტყვით, „თანამშრომლობით“ ჩავანაცვლებდი.

– გქონდათ თუ არა შეხვედრა სპორტის ახალ მინისტრთან?

– მინისტრთან რამდენჯერმე მქონდა შეხვედრა. ალბათ, მალე დაიწყება ფედერაციების საერთო შეკრება და სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად მოგვიწევს დასხდომა. აუცილებლად უნდა იყოს განხილული სპორტის დაბეგვრის საკითხი. არ არის სწორი, რომ სპორტი დღეს იბეგრება, როგორც კომერციული სტრუქტურა. მესმის ისიც, რომ შემოსავლების მხრივ გამონაკლისები ვერ იქნება დაშვებული, რადგან გამონაკლისები ჩვენს ქვეყანაში არ ამართლებს და ვიღაც ამით ყოველთვის სარგებლობს. თუმცა, ამაზე ლაპარაკი რომ უნდა დავიწყოთ, ფაქტია. ასევე დიდია სამუშაო იმაზეც, რომ როგორმე მოხდეს ბიზნესის დაინტერესება სპორტით. ვისურვებდი, კერძო სექტორი იმის მეათედით მაინც იყოს ჩართული სპორტის დახმარებაში, ვიდრე სახელმწიფოა.

– მილტონ ჰეიგი, კაცი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა იმისთვის, რომ ჩვენს ნაკრებს ახალი სტილის თამაში დააწყებინოს. რას იტყვით მის შესახებ?

– რა თქმა უნდა, გულშემატკივრის საქმეა, არჩიოს და განიხილოს მწვრთნელის საქმიანობა. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი მოსაზრება. მე აქტიურად ვკითხულობ ფორუმებსა და ფეისბუქზე დაწერილ სიახლეებს, მაგრამ, ვფიქრობ, ჰეიგი კარგი მწვრთნელია. მე ვენდობი ზელანდიის რაგბის კავშირს, რომლის რეკომენდაციითაც მოხდა მისი მოწვევა. ასევე ვენდობი ბიგრამ მურის, ლეგენდარულ მორაგბეს, კაპიტანსა და დღეს უკვე მენეჯერს. მე ამის იქით არ მივდივარ. თუ მილტონ ჰეიგი შედეგს ვერ დაგვიდებს, ის დაბრუნდება სამშობლოში, მაგრამ მის კომპეტენციაში ეჭვის შეტანა არ მიმაჩნია სწორად. მე ვხედავ, რომ ბიჭები ამ კაცს ენდობიან. რამდენიმე მატჩის შემდგომ ინტერვიუებში ისინი ამბობდნენ, რომ ვერ შეასრულეს მწვრთნელის დავალებები. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, დაველოდოთ ერთა თასს, რომლის დასრულების შემდეგ უფრო რეალურად გვექნება სალაპარაკო, სწორი გზით მივდივართ თუ არა. ფაქტია, თამასა მაღალია და რაიმეს „სხვა“ შედეგი, გარდა მსოფლიო თასისა, აბსოლუტურად გამორიცხულია, რაც ქართული რაგბისთვის დამღუპველი იქნება.

განცხადებები

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

ოთხშაბათი 11 თებერვალი

06.30 დ/ფ „ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო“ 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ადამიანი – პლანეტა“ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ენრიკო მატეი — კაცი“ როგელიც მომავალს უყურებდა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „ჩვენი მამების დროშები“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ბანგკოკი“ 09.00 მხ/ფ „საოცარი მისტერ ბარნანდერი“ 10.45 მხ/ფ „ბანზაი“ 12.15 მხ/ფ „ფიძრები თავისუფლებაზე“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი – 4“ 23.00 მხ/ფ „უკომპრომისო“ (ჯ.სტეტჰემი) 01.00 სერ. „ღვინის გზა“ 01.35 მხ/ფ „მე დევიდი ვარ“ (ბ.ტიბერი) 03.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

ერთსულოვნება

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „მოკვეთილი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი“ 13.30 კონცერტი-ქართული ხმები 14.35 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 14.50, 18.35, 22.55, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს“ 16.55 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.20 დოკ/ფ „პირიქითა ხევსურეთი“ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ყვარყვარე“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ „წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი“ 22.40 დოკ/ფ „თუჯი“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ გად. IV 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

სამშაბათი 12 თებერვალი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები“ 17.00 „საფარი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ენრიკო მატეი — კაცი“ როგელიც მომავალს უყურებდა“ 22.00 „აქცენტები“ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: სელტიკი — იუვენტუსი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა“ 01.50 მხ/ფ „იღბლიანი“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი – 4“ 23.00 მხ/ფ „უკომპრომისო“ (ჯ.სტეტჰემი) 01.00 სერ. „ღვინის გზა“ 00.50 მხ/ფ „უკვდავი კალასი“ (ფ.ვარდანი) 02.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 „ნანუკას შოუ“ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდა 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 სპექტაკლი „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი“ 10.55 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ყვარყვარე“ 13.40 კონცერტი-კვინტეტები „ურმული“ 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დოკ/ფ „უბისა“ 16.20 აქტუალური თემა 16.40 დოკ/ფ „ნათელი იგი“ 18.10 სალბუნი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 შარავანდედი (გად. 7) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „მღვდელმთავარნი ქრისტესანი“ 23.40 მოკ/ფ „ბზიანეთი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ოთხშაბათი 13 თებერვალი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 17.00 „გურმანია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ენრიკო მატეი — კაცი“ როგელიც მომავალს უყურებდა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: შახტარი — დორტმუნდი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა“ 01.50 მხ/ფ „წერილები ივოძიმადან“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქართ. მხ/ფ „ცხელი ძაღლი – 4“ მე–2 სერ. 23.00 მხ/ფ „ტალღებთან მოთამაშე“ (პ.სუეიზი) 01.25 სერ. „ღვინის გზა“ 02.00 მხ/ფ „გოროტების სავანე“ (მ.იოვოვიჩი) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები“ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.50 დოკ/ფ „ნათელი იგი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად.7 11.10 სალბუნი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ვენის სიმფონიური ორკესტრი 14.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მოკ/ფ „აპრილი“ 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ოთარაანთ ქვრივი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.20 ქართული აღბომი 22.45 დოკ/ფ „ქართული მონეტები“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „წმინდა მეფე თამარი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „კასაბლანკა“

ხუთშაბათი 14 თებერვალი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამინამ“ — დედამიწის სიღრმეში 17.00 „ჩვენი ფერმა“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ბიჭუნა წყალზე“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 თოქშოუ: „არენა“ 00.00 მხ/ფ „მზის ჩასვლის შემდეგ“ (პ.ბროსნანი) 02.10 დ/სერ „ტვინი სარკეში“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 16.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქართ. მხ/ფ „ცხელი ძაღლი – 4“ მე–2 სერ. 23.00 მხ/ფ „ტალღებთან მოთამაშე“ (პ.სუეიზი) 01.25 სერ. „ღვინის გზა“ 02.00 მხ/ფ „გოროტების სავანე“ (მ.იოვოვიჩი) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „კასაბლანკა“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წმინდა მეფე თამარი“ 11.05 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ოთარაანთ ქვრივი“ 13.30 კონცერტი-ანდრია ბოჩელი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მხ/ფ „ერთ პატარა ქალაქში“ 17.25 დოკ/ფ „თეძმის ხეობა“ 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ალყა“ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „კაცია ადამიანი?!“

პარასკევი 15 თებერვალი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან“ 17.00 დ/ფ „სიმართლე ატლანტიდაზე“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ბიჭუნა წყალზე“ 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 ქართ. მხ/ფ „ბიმინო“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „კოდის კონცხი“ 16.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო შიარაღება“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 სერ. „ღვინის გზა“ 00.50 მხ/ფ „საუკეთესო საყვარელი“ (მ.სტრიპი) 02.25 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „კაცია ადამიანი?!“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ალყა“ 13.30 კონცერტი-ბიძინა კვერნაძე 14.30 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.15 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 კონცერტი-ქართული მელოდიები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „როგინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი - ასმათ ოქროპირიძე „უფლის მირქმის დღესასწაულის შესახებ“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „მიგებება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა“ 22.35 მოკ/ფ „ბაკურხეველი ხევსური“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

შაბათი 16 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები“ 08.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 ან/ფილმი: „სკუბი დუ“ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები“ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი“ 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.50 „მოამბე“ 12.30 ქართ. მხ/ფ „თეთრი ძარავანი“ 14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: „სტუ“ — „ძუთაისი“ (პ/რ) 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური“ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო“ 17.30 დ/ფ „წიგნის მშვენება“ 18.00 „ეტალონი“ 19.00 „გურმანია“ 21.00 კონცერტი: ეტა ჯეიმსი 22.00 ტ/სერ „ერთი სასიყვარულო ღამისთვის“ 23.00 „ახალი ქართული კინო“ 23.30 მხ/ფ „ბარილივით თეთრი“ (ქ.მაჭავარიანი) 00.50 მხ/ფ „მამაცი“ (ჯ.ფოსტერი)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო“ 17.00 მხ/ფ „დაბაბე გონება“ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები“ — უილის სიმფსონი 20.00 მხ/ფ „ოუშენის 11 მეგობარი“ (ჯ.კლუნი) 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩისკო“ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „გაფრენილი კოცნა“ (ტიტ.)

08.20 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები“ 1–2 სერ. 09.20 ან/ფ „წითელქუდას ნამდვილი ამბავი“ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი“ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ 13.00 სერ. „აიქარლი“ 14.20 მხ/ფ „უიგლდონი“ 16.00 სერ. „გმირები – 4“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „რემბო-4“ 01.40 მხ/ფ „ცეცხლოვანი ველი“ (შ.ტერონი) (ტიტ.) 03.25 მუსიკა

08.00 კურიერი. დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი“ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 შერეკილები 16.30 „ნანუკას შოუ“ - (გ/ჩ) 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები“ (ს.2) 00.00 პოკერის ტურნირი 3 01.00 „Latin Angels“ 02.00, 04.30 მხ/ფ

ერთსულოვნება

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით - დოკუმენტური ფილმი „ველური ბუნება“ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე“ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი“ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „როგინზონიადა,ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ 13.25 დოკ/ფ „მიგებება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა“ 13.50 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-“ტურანდოტი“ 17.15 სატელევიზიო არქივიდან -შორეული ახლობელი 17.40 სალბუნი 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული აღბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 „კარაბადინი“ 22.25 დოკ/ფ „ხიდები სამშობლოსაკენ“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 ქართული კინოს ვარსკვლავები 01.15 მხ/ფ „ბლადიატორი“ I ნაწ.

ჯვრის 17 თებერვალი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები“ 08.30 საბ/ფ „ფიძრები თავისუფლებაზე“ 10.00 „ეტალონი“ 11.00 „ჩვენი ექსპრესი“ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი“ 12.00, 14.00, 16.00 „მოამბე“ 12.30 „ჩვენი ფერმა“ 13.00 „სპექტაკლის დრო“ — მუსკომედიის თეატრის სპექტაკლი: „მარლენ დიტრიხი“ 16.30 „ჩვენი ეზო“ 17.30 „ვაშინგტონი დღეს“ 18.00 ნუნუ გაბუნია 20.00 მხ/ფ „ღამეები როდანტაში“ (რ.გირი) 22.00 ტ/სერ „ერთი სასიყვარულო ღამისთვის“ 23.00 „აღმოაჩინე საქართველო“ 23.30 „უცნობი მუსიკა“ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი“ (ტიტ.) (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ „ამფორების გზა“ 09.00 „ბრიფინგის დრო“ 10.00 მხ/ფ „პატარა პრინცესა“ 11.50 მხ/ფ „ბრაფი მონტე-კრისტო“ 15.10 მხ/ფ „ყოველთვის თქვით დიახ“ 17.05 მხ/ფ „ის ჩემზე უარესია“ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები“ — ამელია ერჰარტი 20.00 მხ/ფ „ოუშენის 12 მეგობარი“ 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩისკო“ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „პირადი მცველი“ (ტიტ.) (კ.კოსტნერი)

08.20 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები“ 3-4 სერ. 09.20 ან/ფ „ლეგენდა სიდიზე“ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ 13.00 მხიარული სტარტები 14.20 ქ.მხ.ფ. „ყვავლაფერი კარგად იქნება“ 16.00 სერ. „გმირები – 4“ 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: „ვლადიმერ ვისოცკის საღამო თბილისში“ 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ „აუტანელი სისასტიკე“ (ჯ.კლუნი) 01.10 მხ/ფ „ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი“ (პ.ნიუმენი) (ტიტ.) 03.00 მუსიკა

08.00 კურიერი. დაიჯესტი 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი“ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 შერეკილები 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00, 03.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი“ (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.35 გამოყენებითი ხელოვნება 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული აღბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.10 დოკ/ფ „ხიდები სამშობლოსაკენ“ 13.40 „ჩვენი ტრაპეზი“ 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 მოკ/ფ „ზღარბი“ 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ეპოქის სახელები 16.10 ქართული კინოს ვარსკვლავები 17.00 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ 17.25 საღვთისმეტყველო საუბრები 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.50 მხ/ფ „წისქვილი ძალაქის გარეუბანში“ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 „კვირიაკე“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 01.35 მხ/ფ „ბლადიატორი“ II ნაწ.

კიევში ტაჯიკეთის ექსპრემიერი დააკავეს

ექსპერტები რუსეთის მორიგ პროვოკაციაზე საუბრობენ

– ბორისპოლის აეროპორტში დაკავებულია ტაჯიკეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი აბდულოჯანოვი. ოფიციალური დუშანბე მის ექსტრადირებას მოითხოვს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ტაჯიკეთის ექსპრემიერი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დროებით დააკავეს. ორმოცი დღის განმავლობაში უნდა გადაწყდეს, არსებობს თუ არა მისი სამშობლოში ექსტრადირების საფუძველი.

– განაჩენით უკმაყოფილო ვარ, – განაცხადა აბდულოჯანოვის ადვოკატმა ფედულმა, – და მას აუცილებლად გავასაჩივრებ.

აბდუმალიქ აბდულოჯანოვი (დაბ. 1947 წ.) „ლენინაბადის კლანს“ განეკუთვნება. ის არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. მისი ბაბუა ცნობილი ღვთისმეტყველი და ბუხარის ემირთან დაახლოებული პირი იყო. საბჭოთა რუსეთის მიერ ბუხარის ანექსიის შემდეგ ბაბუა საუდის არაბეთში გადასახლდა, თავად აბდუმალიქმა კი უმაღლესი განათლება ოდესაში მიიღო. „დიდ პოლიტიკაში“ ის 1991-92 წლებში მოვიდა. აბდულოჯანოვი „სახალხო ფრონტის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, სადაც, როგორც ცნობილია, პრორუსული ძალები გაერთიანდნენ. „ფრონტი“ ტაჯიკეთის დემოკრატიულ ძალებს დაუპირისპირდა და ქვეყანაში რუსეთის არმიას შემოუძღვა.

– „ტაჯიკეთის დემოკრატიულ ძალებს“ აშკარა ფუნდამენტალისტური ელფერი დაჰკრავდა. ამიტომ მათი გამარჯვების პერსპექტივამ დასავლეთი შეაშინა. აშშ და ევროპა ტაჯიკეთში რუსული არმიის შესვლას მშვიდად შეხვდნენ, – წერს ცნობილი რუსი ჟურნალისტი ლუდმილა ტელენი.

იმხანად აბდულოჯანოვი განიხილებოდა ფიგურად, რომელიც აწყობდა როგორც რუსეთს, ასევე დასავლეთს. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მაშინდელ ლიდერებთან (გაიდარი, ჩუბაისი შახრაი, შუმეიკო). პარალელურად, დასავლეთშიც გავლენიანი კავშირები გააჩნდა. მის მთავარ კონკურენტ ემომალი რაჰმონს მხარს რუსული არმიისა და უშიშროების წარმომადგენლები უჭერდნენ. გაიმართა ცხარე დისკუსიები თემაზე: ვინ უნდა იყოს ტაჯიკეთის ხელისუფალი. საბოლოო გადაწყვეტილება ბორის ელცინმა მიიღო: რაჰმონი (მაშინ რაჰმონოვად იწოდებოდა) პრეზიდენტი გახდა, აბდულოჯანოვი კი – პრემიერი. ამან რაღაც მომენტში გარკვეული პოლიტიკური ბალანსი შექმნა, თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდა. პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა გაიმართა. მასში რაჰმონმა გაიმარჯვა, რომელმაც აბდულოჯანოვი საპრეზიდენტო არჩევნებში დაამარცხა. პრემიერი მარცხს არ შეურიგდა და არჩევნები ფალსიფიცირებულად გამოაცხადა. მაშინ ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მას პატიმრობა დაემუქრა.

– რაჰმონმა მას ბრალად კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენება დასდო. აბდულოჯანოვს მხსნელად მოსკოველი მეგობრები მოევლინენ. რაჰმონოვიც იძულებული გახდა, ყოფილი პრემიერის დაპატიმრებაზე უარი ეთქვა, – წერს ტელენი.

პრეზიდენტმა აბდულოჯანოვი რუსეთში ელჩად დანიშნა. ყოფილი პრემიერი ასეთმა დაქვეითებამ გააცოფა. ის რევანშის აღებას ჯიუტად ცდილობდა, რაც პრეზიდენტს შეუმჩნეველი არ დარჩენია. აბდულოჯანოვი ელჩობიდან გადააყენეს. ის რუსეთში, როგორც პოლიტემიგრანტი, ისე ცხოვრობდა. შემდგომი მოვლენები კი ბობოქარი სცენარით განვითარდა. 1998 წელს ტაჯიკეთში შეიარაღებულმა პუტჩმა იფეთქა. რაჰმონმა ის ჩაახშო. პუტჩის ერთ-ერთ ორგანიზატორად მოსკოვში მცხოვრები აბდულოჯანოვი გამოცხადდა.

– ეს სრული აბსურდია! – ამტკიცებდა აბდულოჯანოვი, – რაჰმონს ჩემი ეშინია და ცილს მწამებს!

ტაჯიკეთის პრეზიდენტი კი კატეგორიულად მოითხოვდა ყოფილი პრემიერის გადმოცემას. კრემლი რაჰმონს შუა აზიაში თავის საყრდენად განიხილავდა და მისი განაწყენება არ სურდა. მეორე მხრივ, არც აბდულოჯანოვის გადაცემა სურდათ. ბოლოს და ბოლოს, ექსპრემიერს საშუალება მისცეს, დასავლეთში გამგზავრებულიყო. აბდულოჯანოვი აშშ-ში (კალიფორნია) გადასახლდა. რადიო „თავისუფლების“ წარმომადგენელთან საუბარში მან განაცხადა:

– პოლიტიკიდან არ წავსულვარ! ახლაც აქტიურ საქმიანობას ვეწევი, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია!

კონკრეტულად რა საქმიანობას ეწეოდა აბდულოჯანოვი, გამოცანად დარჩა. ყოფილი პრემიერის სახელი გაზეთების ფურცლებიდან გაქრა. ის მხოლოდ ახლა გაიხსენეს, როდესაც გავრცელდა ცნობა მისი ბორისპოლის აეროპორტში დაკავების შესახებ.

– ისმის კითხვა: რატომ ჩავიდა აბდულოჯანოვი კიევში? ის, თუ ვინ იქნება ტაჯიკეთის ხელისუფალი, წყდება ვაშინგტონში, მოსკოვში, შესაძლოა, პარიზში, ბერლინში ან ლონდონში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კიევში, – წერს პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი, – ტაჯიკეთის ექსპრემიერი აქ საგანგებოდ შემოიტყუეს! ესაა მახე, რომელიც მხოლოდ აბდულოჯანოვისთვის როდი დაიგო!

უკრაინა დღეს ფრიად მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფება. ქვეყანამ „დსთ-ს საბაჟო კავშირში“ შესვლაზე უარი განაცხადა. მიმდინარე წლის ნოემბერში მოსალოდნელია ევროკავშირთან ასოცირებულ წევრობისა და თავისუფალი სავაჭრო ზონების შემოღებაზე შეთანხმების ხელმოწერა. რუსეთის ზეწოლამ უბიძგა კიევს, გაზის მიწოდების ალტერნატიული საშუალებები მოეძებნა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, დაიდო ხელშეკრულება ევროპიდან გაზის მიღების თაობაზე, თავად უკრაინაში კი გაზის მნიშვნელოვანი მარაგი აღმოჩნდა. 2016 წლისთვის ქვეყანას უკვე საკუთარი გაზი ექნება.

– „გაზპრომის“ დომინირებას ჩვენს ენერგობაზარზე ბოლო მოეღო, – ამტკიცებს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კოჟარა.

ამავე დროს, დასავლეთთან დაახლოება მძიმე ფონზე ხდება. კვლავინდებურად პატიმრობაში რჩებიან ექსპრემიერი ტიმოშენკო და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ლუცენკო. ევროპაშიც არ წყდება საუბარი უკრაინაში „პოლიტიკური ოპონენტების დევნის“ თაობაზე. კიევში ოფიციალური ვიზიტით ჩასულმა ლიტვის პრეზიდენტმა იანუკოვიჩს პირდაპირ განუცხადა, რომ ტიმოშენკოს საქმე ევროკავშირთან დაახლოების უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორია. თავად უკრაინის შიგნით კი გრძელდება უმწვავესი დაპირისპირება. ეკონომიკა სავალალო დღეშია. მოსახლეობის ფართო ფენების გაღატაკების პროცესი გრძელდება. სამაგიეროდ, მდიდრდებიან ისინი, ვინც მმართველ კლანს განეკუთვნებიან, რაც შიდა დაპირისპირებას კიდევ უფრო ზრდის. სხვადასხვა ძალებს შორის შეხლა-შემოხლა, მუშტი-კრივი ქუჩასა თუ პარლამენტში უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

– შედეგად ფეთქებადსაშიში ვითარება შეიქმნა. ჩვენ ყველანი ბომბზე ვსხედვართ, – აცხადებს კარასიოვი.

ამ დროს ჩნდება კიევში ტაჯიკეთის ექსპრემიერი. ეს ფრიად საინტერესო მოვლენებს დაემთხვა. „გაზპრომმა“ უკრაინა ხელშეკრულების დარღვევაში დაადანაშაულა და გვარიანი ჯარიმაც შეაწერა. უკრაინულმა მხარემ ბრალდება უსაფუძვლოდ მიიჩნია, ჯარიმის გადახდაზეც უარი განაცხადა, რამაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. ამას შიდა დაპირისპირებაც დაერთო. ოპოზიციამ პარლამენტის პრეზიდიუმის ბლოკირება დაიწყო. შედეგად უმაღლესმა რადამ მუშაობა შეწყვიტა. აბდულოჯანოვის ჩამოსვლამ იანუკოვიჩს ახალი თავსატეხი გაუჩინა. ტაჯიკეთის პრეზიდენტი ემომალი რაჰმონი რუსეთის მოკავშირეა. მისი განაწყენება პუტინის განაწყენებასაც ნიშნავს, რაც რუსეთთან გართულებულ ურთიერთობას კიდევ უფრო გაართულებს. ამავე დროს, აბდულოჯანოვს აშშ-ში პოლიტიკური დევნილის სტატუსი მისცეს. ტაჯიკეთის ექსპრემიერს ამერიკულ პოლიტოლოგიურ წრეებში საკმაო ავტორიტეტი გააჩნია. მას, როგორც ექსპერტს, კონსულტაციებისათვის ხშირად მიმართავენ. მისი ტაჯიკეთში ექსტრადირებაც დასავლეთთან ახალ პრობლემებს წარმოშობს. თუკი „ტიმოშენკოს საქმეს“ „აბდულოჯანოვიც“ დაემატება, ამან შესაძლოა ევროკავშირთან ხელშეკრულების დადება ჩაშალოს.

– უკრაინას ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსის მიღებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. თუკი ეს ჩაშალა, მოსახლეობა ერომნიშვნელოვნად იანუკოვიჩს დაადანაშაულებს, – ამბობს კარასიოვი.

უკრაინის ევროკავშირთან დაახლოებას მოსახლეობის 76 პროცენტი უჭერს მხარს. ამას ემხრობა პარლამენტში გასული ყველა პარტია, ბიზნესელიტა, სამხედრო ელიტა. ევროინტეგრაციის ჩაშლასაც იანუკოვიჩს არავინ აპატიებს. რა მოხდება შემდეგ?

– თუ მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდა, ეს შესაძლოა უკრაინის დაშლითაც დამთავრდეს, – ფიქრობს კარასიოვი.

მოსკოვი სწორედ ამას ესწრაფვის. უკრაინის დაშლა ამ ქვეყანაზე გავლენის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა. ბრძოლა გრძელდება. ტაჯიკეთის ექსპრემიერი აბდულოჯანოვიც მორიგი მსხვერპლია იმ დიდი თამაშისა, რომელიც უკრაინის გარშემო მიმდინარეობს.

ნიკა თევზაძე

სამგლოვიარო განცხადებები

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ წიკლაურების ოჯახს პატარა

ინა ბესარიონის ასულ წიკლაურის

გარდაცვალების გამო.

თანაგრძნობას ვუცხადებთ კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს მარიამ წიკლაურს ძმისშვილის

ინა ბესარიონის ასულ წიკლაურის

გარდაცვალების გამო.

ღმერთო, დაუმკვიდრე მარადიული სასუფეველი ზეცად ამაღლებული პატარა ანგელოზის – ინას სულს...

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები.

ვემშვიდობებით სიკეთითა და სათნოებით სავსე პიროვნებას, კარგ მეუღლეს, მოსიყვარულე მამას, საუკეთესო ბაბუას, ქალაქის შესანიშნავ კოლორიტს

გიორგი (ტოტოშა) ბაგრატიონს

მეგობრები ღრმა მწუხარებით თანავუგრძნობთ ოჯახს, ახლობლებს და შევთხოვთ უფალს, ნათელში გვიმყოფოს მისი უკვდავი სული.

მაია ბოკუჩავა, დარეჯან საყვარელიძე, მანანა ჩეჩელაშვილი, ნინო წერეთელი, თამრიკო წერეთელი, მანანა ხვედელიანი, ელზა სიმონიშვილი, ლუიზა სიმონიშვილი, მანანა იაშვილი, ვივიკო ჭყონია, მარინა აბესაძე, დოდო გვასალია, ნაილი ჭინჭარაული, მარინა ინოზემცევა

ლელა და დიტო გამეზარდაშვილები მწუხარებას გამოხატავენ და სამძიმარს უცხადებენ ეთერ, ლიზა და თამუნა ბაგრატიონებს საყვარელი მეუღლისა და მამის, შესანიშნავი პიროვნების, ქალაქის კოლორიტის

გიორგი (ტოტოშა) ბაგრატიონის

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ფაქიზი სული!

სანთლები, რომლებიც თქვენს სახელზე აინთება, სამუდამოდ დაგიმკვიდრებთ სასუფეველს.

უახლოესი მეგობრები: მანანა კოპლატაძე, მანანა კიკნაძე, მირანდა ჩხაიძე, ლიანა კოპლატაძე, მაგდა ჩხაიძე თანაგრძნობას უცხადებენ ნანა მაისურაძეს ძმის

გოგა მაისურაძის

გარდაცვალების გამო.

ქეთევან (გუგული) ბურჯანაძის მოგონება

გუგული მამიდა, ერთი წელი გავიდა. სულიერი და ფიზიკური სილამაზით დაჯილდოებულ ქალბატონს გიგონებთ უაღრესი სითბოთი და ტკივილით. ნათელში გამყოფოთ უფალმა!

აზა, დოდო, იზა ბურჯანაძეები

დალილა მიქელაძე, მერაბ, ირინე და ნიკუშა მანჯგალაძეები იუწყებიან ფარმაცევტული საქმიანობის ცნობილი ორგანიზატორის, დამსახურებული პროვიზორის

ნოდარ ხუციურაულის

გარდაცვალებას.

მეუღლე ცისანა კოდუა, შვილები ირაკლი და ია მჭედლიშვილები, რძალი ლელა გაფრინდაშვილი, სიძე ზაზა მჭედლიშვილი, შვილიშვილები გიორგი, ნატალია, ბარბარე, ანდრია, ნიკოლოზ მჭედლიშვილები, ალექსანდრე ხარანაული, დები ზაირა და დოლორეს მჭედლიშვილები, დისშვილები გიორგი მჭედლიშვილი, ნინო ქორქია, ნინო ნიაური შვილებით, ბიძაშვილები და მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლერი მჭედლიშვილი

პანაშვიდი: 8, 9 თებერვალს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 10 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: შარტავას (ყოფ. ანაგის) ქუჩა №30, IV სართული.

სს თბილაბრეშუმ „ცისარტყელას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სს-ის დირექტორის, ბატონი თამაზ ქვარცხავას დედის

იულია ქვარცხავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი: 10, 11 თებერვალს, დიღომი, 8, II ჩიხი.

დაკრძალვა: 14 თებერვალს, 15 საათზე, ჩხოროწყუში, მშვიდობის ქუჩა №18.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. თვალის ფერადი გარსის ანთება; 5. ბუნებრივი მინერალური საღებავი, ჟანგმიწა; 6. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. იტალიელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 14. აეროპორტი ბუქარესტში; 15. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

თარაზულად: 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო, დამსჯელი ორგანიზაცია მე-13-19 საუკუნეებში; 4. კახეთის ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი მე-10 საუკუნეში; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. პატარა რესტორანი იტალიაში; 10. პოლონეთის პარლამენტი; 12. ბიჭის ან გოგოს როლების შემსრულებელი მსახიობი ქალი თეატრში; 16. ძველბერძენი ისტორიკოსი; 17. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვეტმფრენებისა სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა; 22. მონინააღმდეგე კამათში.

შეადგინა თ.ვოგანაშვილმა

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თარჩია; 2. უწერა; 3. ლალი; 5. ბუშელი; 6. წნევა; 7. ბომარშე; 11. ზღარბი; 13. ბაირამი; 14. „სადია“; 15. პორტალი; 16. „სურჩინა“; 17. ამპერი; 19. იახტა; 20. კოლო.

თარაზულად: 1. თხუნელა; 4. „სამბა“; 8. ლაოსი; 9. შალე; 10. ჩარექი; 12. სარქალი; 14. სურა; 15. პეკინესი; 16. „სიდრი“; 18. „შატლი“; 21. პერიე; 22. ნეილონი; 23. ტორპედო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტიგელი; 2. ლოკალი; 3. რანდი; 5. ბობი; 6. „ჩუვაჩი“; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. ტამპერე; 15. ბაობაბი; 19. გოია.

თარაზულად: 1. ტრაფალგარი; 4. დამბაჩა; 7. „გერნიკა“; 9. დადიანი; 10. „ოპელი“; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. რავიოლი; 18. სპილბერგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 22. მირზაანი.

ახალი თაობა

Akhal-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6571	ევრო — 2,2638
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6219	რუსული რუბლი — 0,0524

ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისთვის

11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი



დედამიწას ასტეროიდი უახლოვდება

დიდი ასტეროიდი დედამიწას სახიფათო ინტერვალით მომავალ კვირას მოუახლოვდება.

ამის შესახებ ამერიკის აეროკოსმოსური სააგენტო ნასა იუწყება. მეცნიერთა მონაცემებით, კოსმოსური სხეული დედამიწას მაქსიმალურად, დაახლოებით 27 358 კილომეტრის დაშორებით 15 თებერვალს მოუახლოვდება.

„ეს ყველაზე ახლო დაშორებაა, ამ დრომდე ასეთი დიდი ასტეროიდი დედამიწას ასე ახლოს არასდროს მიახლოებია“, – განაცხადეს ნასაში.

ასტრონომების შეფასებით, ასტეროიდის შეჯახების ძალა, 1945 წელს ხიროსიმაში ჩამოგდებულ ათას ატომურ ბომბს შეიძლება გაუტოლდეს. საბედნიეროდ, ასტეროიდი „2012 და14“ პლანეტას არ შეეჯახება. ის ყველაზე დიდი ზომის ობიექტია,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ასტროპროგნოზი

9 თებერვალი – ნახმატებული დღეა

ვერძი – ფულს შოულობთ, მიზანდასახული ხართ. **კურო** – ახალ პროექტს თქვენთვის სიკეთე მოაქვს. **ტყუპები** – ხასიათი გეცვლებათ, ამიტომ მოერიდეთ რთული ხასიათის ადამიანებს. **კირჩხიბი** – შორს ნუ წახვალთ, სახლთან ახლოს იტრიალეთ. **ლომი** – ცხოვრება რადიკალურად გეცვლებათ, უკმაყოფილო არ დარჩებით. **ქალწული** – ნუ გაექცევით პასუხისმგებლობას, თქვენს გასაკეთებელს ვერავინ გააკეთებს. **სასწორი** – თავზე იმუშავეთ, ამ ეტაპზე უნდა შეიცვალოთ. **ღრიანკალი** – სიტუაცია გამოსწორდება, სასიამოვნოდ ხართ გაკვირვებული. **მშვილდოსანი** – ფიქრს ვინ დაგიშლით, მთავარია, არ დამძიმდეთ. **თხის რქა** – გახალისდებით, ბევრ საქმესაც გააკეთებთ. **მერწყული** – ზარმაცობთ, ცოტა ამუშავდით. **თევზები** – ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

10 თებერვალი – შემოქმედებითი დღეა

ვერძი – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ახალ ბიზნესს წამოიწყებთ, გაამართლებს კიდეც. **ლომი** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – სიახლე გწყურიათ, იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აწესრიგებთ. **მშვილდოსანი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, საერთოდ, საქმე კარგად წაგივათ. **თხის რქა** – საღამოს საათები მეგობრებთან გაატარეთ. **მერწყული** – საკუთარი თავის იმედი გაქვთ, არავის ენდობით. **თევზები** – პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, მთავარია მოინდომოთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი

შვეულად: 1. რელიგიური წესი, რომელიც კრძალავს ხორცეულისა და რძის პროდუქტებით კვებას; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. გაზის უდიდესი საბადო საფრანგეთში; 5. აეროპორტი ტოკიოში; 6. კუთხე საქართველოში; 7. მღვდლის ცოლი; 11. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 13. პეკინის მეორე სახელწოდება; 14. ჯილდო გამარჯვებულთათვის; 15. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. გარეული ფრინველის ხორცისგან მომზადებული ბულიონი; 17. თურქი ჯარისკაცი; 19. სპირტიანი სასმელი; 20. გერმანელი კომპოზიტორი.

თარაზულად: 1. საველე, გეოდეზიური სახაზავი მაგიდა; 4. ვრცელი ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 9. აღმოსავლური ტკბილეული; 10. სურსათ-სანოვაგე, საჭმელი; 12. ძალზე მტკიცე მინერალი; 14. მდგომარეობა ჭადრაკში; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. წვრილი ხმა, მრავალხმიან სიმღერაში; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 21. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 22. კუთხე საქართველოში; 23. შემოდგომის ხილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



გია ნიჟარაძე: „საქართველოს ნაკრების თამასა მაღალია“

საქართველოში რაგბი ერთ-ერთი ყველა ზეპოპულარული სახეობაა. ეს ყველაფერი კი იმ წარმატების შედეგია, რომელსაც ჩვენი სპორტსმენები აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე. მართალია, ჯერ დიდი შედეგებით ვერ დავიკვეხნით და ბობოლა სარაგბო ქვეყნებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით, თუმცა, წინსვლა რომ ჩანს, ფაქტია.

სწორედ სარაგბო საკითხებზე საუბრობს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გია ნიჟარაძე.**

– იანვარში ვიზიტით ბრძანდებოდით ირლანდიაში, სადაც ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხები იქნა განხილული. უპირველესად ყოვლისა, ირბ-მ საქართველო განვითარებული რაგბის კავშირების სიაში შეიყვანა. თუ შეიძლება, გვესაუბროთ, რას მისცემს საქართველოს რაგბის კავშირს, რა უპირატესობები შეიძლება მოგვიტანოს აღნიშნულმა ფაქტმა?

– საინტერესო და ნაყოფიერი ვიზიტი იყო. დუბლინში არის ჩვენი საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინა. ძალიან თბილი შეხვედრა იყო. ბოლო წლებში მართლაც მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, იმის გამო, რომ ეს ხალხი ხედავს, საქართველოში რაგბის განვითარებისთვის მართლაც ბევრს შრომობენ. შეხვედრაზე ბევრი თემა იქნა განხილული, მაგრამ გამოვყოფდი სწორედ იმ ფაქტს, რომელიც თქვენ ახსენეთ – საქართველოს რაგბის კავშირს მიენიჭა ახალი სტატუსი – განვითარებული რაგბის კავშირი. ეს გახლავთ უმაღლესი სტატუსი, რომელსაც სულ 17 ქვეყანა ატარებს. მეჩვიდმეტე სწორედ ჩვენ ვართ. ეს გამოიხატება გრანტის მომატებაშიც – 300.000 გირვანქა სტერლინგის ნაცვლად გახდა 450.000. ამ თანხით ჩვენ უკვე ჩამოვიყვანეთ ფიზმომზადების ინგლისელი მწვრთნელი. ასევე ვაპირებთ ფიზიოთერაპევტის ჩამოყვანასაც, ვინაიდან ამ მხრივ საქმე გამოსასწორებელი გვაქვს. სექტემბრიდან ირლანდიის რაგბის კავშირის დახმარებით ამუშავდება ქართველი მსაჯების განვითარების პროგრამა. აღსანიშნავია, თუ ვინ აკეთებს ამას, ირლანდიელი მსაჯები მსოფლიოში დომინირებენ. საუკეთესო მსაჯების უმრავლესობა ირლანდიელია და მათი გავლენა რაგბის სამყაროში საკმაოდ დიდია და თავად ის ფაქტი, რომ ისინი გამოთქვამენ სურვილს, დაგვეხმარონ, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასევე, ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე 6 ერის მონაწილე ქვეყნებიდან მსაჯების მოვლინება. ოღონდ ეს ახალი სეზონიდან, ანუ სექტემბრიდან, ხოლო წლევანდელ სეზონში ჩემპიონატის მეორე წრის მატჩების განსასჯელად ახალზელანდიელი მსაჯი ჩამოვა. გარდა ამისა, ირბ-მ ხელოვნურსაფარიანი მოედნისთვის დამატებით გამოგვიყო 250.000 გირვანქა სტერლინგის ოდენობის გრანტი. ჩვენ გადავწყვიტეთ, აღნიშნული თანხა მარტყოფის სარაგბო ბაზას მოვახმაროთ.

– ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული „თბილისის თასთან“ დაკავშირებით.

– დიახ, ირლანდიაში ვიზიტისას საბოლოოდ დადგინდა, რომ ჩვენ გვექნება საკუთარი ტურნირი. ეს ოთხგუნდა ტურნირი თბილისში 4-დან 17 ივნისამდე ჩატარდება. რაც შეეხება მონაწილეებს, საქართველოს ნაკრებთან ერთად ითამაშებენ ირლანდიის, იტალიისა და ესპანეთის, პორტუგალიის ან ურუგვაის ნაკრებები. მომავალ

გაგრძელება მე-9 გვერდზე